პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი
№ 287 (10063) | შაბათი, 4 დეკემბერი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

მეტი ქვანახშირი სახალხო მეურნეობას

ჩვენი დიადი სამშობლოს სახალხო მეურნეობის შემდგომი სწრაფი აღმავლობის, ჩვენი ეკონომიკის საფუძველთა საფუძვლის — მძიმე მრეწველობის შემდგომი ძლევამოსილი განვითარების უზრუნველსაყოფად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქვანახშირის მრეწველობის გამართულ, შეუფერხებელ მუშაობას. დიდი ლენინის განსაზღვრით, ქვანახშირი მრეწველობის პურია. რაც უფრო მეტ ქვანახშირს გვაძლევენ შახტები, მით უფრო სწრაფად ვითარდება სახალხო მეურნეობა, წინ მიდის მძიმე მრეწველობა.

ამიტომ გასაგებია ის დიდი, შეუნელებელი მზრუნველობა, რომელსაც იჩენენ ქვანახშირის მრეწველობისადმი პარტია და მთავრობა, ის დიდი დახმარება, რომელსაც ისინი უწევენ ჩვენს მეშახტეებს. ამ მზრუნველობისა და დახმარების შედეგად ჩვენი შახტები აღჭურვილი არიან მსოფლიოში საუკეთესო, უახლესი სამთო ტექნიკით. საბჭოთა მეშახტეებისათვის დაწესებულია მრავალი შეღავათი, ნამსახურობისათვის მათ ყოველწლიურად ეძლევათ დახმარება, — მათთვის შენდება კეთილმოწყობილი სახლები, კომუნალური საწარმოები, კულტურის სახლები.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის, მთელი საბჭოთა ხალხის ამ ზრუნვის, დახმარებისა და სიყვარულის პასუხად მეშახტეები დღითიდღე აძლიერებენ მუშაობას ქვანახშირის მოსაპოვებლად, იჩენენ პატრიოტულ თაოსნობას და შემოქმედებითს ინიციატივას თავიანთ ყოველდღიურ მუშაობაში. საკმარისია აღინიშნოს, რომ მარტო შარშან საბჭოთა მეშახტეებმა მოიპოვეს და სამშობლოს მისცეს ორჯერ მეტი ქვანახშირი, ვიდრე ომამდელ 1940 წელს, ხოლო საქართველოს მეშახტეებმა ამავე პერიოდში ქვანახშირის ამოღება თითქმის ოთხჯერ გაადიდეს.

მაგრამ აღნიშნული მიღწევები ახლა ვეღარ აკმაყოფილებს სახალხო მეურნეობის მზარდ მოთხოვნილებას. შეუფარდებლობა ქვანახშირის ამოღებასა და ფაქტიურ საჭიროებას შორის განსაკუთრებით საგრძნობია ჩვენს რესპუბლიკაში. საქართველოს მეშახტეების ვალია ისე მოაწყონ საქმე, ისე გარდაქმნან თავიანთი მუშაობა, რომ შეძლონ არა მარტო არსებული მოთხოვნილების დაკმაყოფილების დონის მიღწევა, არამედ გადაჭარბებით მიაწოდონ სახალხო მეურნეობას ქვანახშირი.

ამ მიზნის მისაღწევად მეშახტეებს ყველა პირობა აქვთ. რესპუბლიკაში ქვანახშირის მოპოვების გადიდების დიდი, ჯერ კიდევ გამოუყენებელი შესაძლებლობანი. ჩვენი შახტები როდი მუშაობენ სრული საპროექტო სიმძლავრით, არ გვაძლევენ იმდენ ნახშირს, რამდენის მოცემაც შეუძლიათ. მივაღწიოთ შახტების სრული საპროექტო სიმძლავრის ათვისებას — ასეთია ახლა საქართველოს მეშახტეების გადაუდებელი ამოცანა.

ცნობილია, რომ ციკლური გრაფიკით მუშაობა ქვანახშირის მოპოვების ზრდის საწინდარია. დავნერგოთ ციკლური გრაფიკით მუშაობა ყველა ლავში, ყველა საბადრზე — ასეთია ახლა ამოცანა.

ტყიბულში და ახალციხეში, განსაკუთრებით კი ტყვარჩელის შახტებში დღემდე არ არის აღმოფხვრილი სამთო მექანიზმების გაცდენა, რაც ხელს უშლის ფენათა სწრაფ დამუშავებას, ნახშირის ამოღებას. არის სხვა ნაკლოვანებანიც. ყველა ამ ნაკლოვანების ლიკვიდაცია, ქვანახშირის მოპოვების შეუნელებელი ზრდისათვის სათანადო ღონისძიებების განხორციელება, უწინარეს ყოვლისა, შახტების ხელმძღვანელთა ვალია. საპროექტო სიმძლავრეთა სრულად ათვისება, ციკლურობის მეთოდით მუშაობის დანერგვა ყველა ლავში, სამთო მექანიზმების მუდმივი გამართულობის უზრუნველყოფა ის რეზერვებია, რომლებიც უნდა გამოვიყენოთ ქვანახშირის მოპოვების განუხრელი ზრდის მისაღწევად.

შახტების გამართულ მუშაობაზე, განსაკუთრებით ამ ბოლო ხანებში, უარყოფით გავლენას ახდენს უსაშიშრობის ტექნიკის მნიშვნელობის შეუფასებლობა, ხოლო ზოგჯერ უგულებელყოფაც. ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ტყვარჩელში სტალინის სახელობის შახტში ორ თვეზე მეტია, რაც დახურულია ერთ-ერთი საექსპლოატაციო უბანი, რადგან შახტის ხელმძღვანელებმა (უფროსი ამხ. გ. მიქაშავიძე) დროზე არ მიაქციეს ყურადღება ამ უბანზე უსაშიშრო მუშაობისათვის სათანადო პირობების დაცვას, არ უზრუნველყვეს ვენტილაციის გამართულობა, რის გამო შახტში შესვლა და მუშაობა სახიფათო გახდა. ასეთი მაგალითები სხვა შახტებშიც გვაქვს.

უსაშიშრო მუშაობისათვის პირობების შექმნას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მეშახტეთა ახალი კადრების აღზრდის თვალსაზრისითაც. ცნობილია, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ქვანახშირის მრეწველობის შემდგომი გაფართოების დიდი პერსპექტივა ისახება. გარკვეული ხნის შემდეგ დაგვჭირდება ათასობით ახალგაზრდა მეშახტეთა კადრები, რომელთა აღზრდაზე ამთავითვე უნდა ვიზრუნოთ. კადრების აღზრდაში წარმატებისათვის კი შახტებში უსაშიშრობის ტექნიკის მთელი სიმკაცრით დაცვას მცირე მნიშვნელობა როდი აქვს.

უნდა ითქვას, რომ უსაშიშრო მუშაობის ტექნიკის განმტკიცებისათვის მეშახტეებს საკმაო დახმარებას არ უწევენ სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები. ისეთ ძველ საბადოზეც კი, როგორიც ტყიბულია, ჯერ არ არის შესწავლილი ამ საქმესთან დაკავშირებული ყველა საკითხი. საჭიროა სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტებმა ამ მხრივ გააფართოონ თავიანთი სამუშაო თემატიკა, ამ საქმეში მიიზიდონ ახალგაზრდა ძალები. უნდა აღიკვეთოს განყენებული, პრაქტიკულ ცხოვრებას მოწყვეტილი თემების სადისერტაციოდ შერჩევა, ახალგაზრდა სპეციალისტებს უნდა მივანდოთ ისეთი სადისერტაციო შრომების დაწერა, რომლებიც პრაქტიკულ ამოცანებს შეესაბამება.

წელს საქართველოს ქვანახშირის მრეწველობა ვერ მუშაობს ისე, როგორც ეს მას მოეთხოვება. განსაკუთრებით ჩამორჩნენ ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობისა და მეორე შახტის კოლექტივები, რომლებმაც ქვეყანას მრავალი ათასი ტონა საწვავი დააკლეს. ჩამორჩენილთა შორის არიან ახალციხექვანახშირის პირველი და მეორე შახტებიც. თერთმეტი თვის დავალება მხოლოდ ტყიბულქვანახშირის ტრესტმა შეასრულა, მაგრამ აქაც ბოლო დროს მუშაობის ტემპი საგრძნობლად შეასუსტეს სტალინის სახელობისა და გელათის შახტებში.

მიმდინარე სამეურნეო წლის დასაწყისში ტყიბულელი მეშახტეების ინიციატივით გაჩაღებულ იქნა მეშახტეთა რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრება ქვანახშირის მოპოვების გეგმების ვადამდე და მაღალი მაჩვენებლებით შესრულებაში პირველობისათვის. შეჯიბრებაში ჩაება ყველა საშახტო კოლექტივი, მაგრამ ყველა შახტმა ვერ გაამართლა დაპირება, ვერ გაანაღდა ნაკისრი ვალდებულება.

წლის ბოლომდე მცირე დრო დარჩა. საქართველოს ქვანახშირის კომბინატის ხელმძღვანელები, ტრესტებისა და შახტების სამეურნეო მუშაკები, ადგილობრივ პარტიულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად მოვალენი არიან ყველა ზომა მიიღონ იმისათვის, რომ მაქსიმალური ნაყოფიერებით იქნას გამოყენებული დარჩენილი დრო, დარაზმონ მეშახტეები ახალი სამეურნეო წლის გადიდებული საწარმოო დავალებების შესრულების უზრუნველსაყოფად, მეტი ქვანახშირის ამოღებისათვის საბრძოლველად.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. დ. ს. კოროტჩენკოს ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. დ. ს. კოროტჩენკოს დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე მისი დამსახურების აღსანიშნავად ამხ. დემიან სერგის-ძე **კოროტჩენკო** დაჯილდოებულ იქნას **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1954 წლის 3 დეკემბერი.

აზახეთის სსრ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა კარტოფილის, ბოსტნეულისა და თესლოვანთა დამზადებისა და შესყიდვის გეგმა შეასრულეს

აზახეთის სსრ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შეასრულეს კარტოფილის, ბოსტნეულისა და თესლოვანთა დამზადებისა და შესყიდვის სახელმწიფო გეგმა. სახელმწიფოს ჩააბარეს და მიჰყიდეს 28 ათასი ტონით მეტი კარტოფილი, 20 ათასი ტონით მეტი ბოსტნეული და 24,6 ათასი ტონით მეტი თესლოვანნი, ვიდრე შარშან.

რესპუბლიკის მშრომელები მხურვალედ იწონებენ ევროპის ქვეყნების მოსკოვის თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა მთავრობების დეკლარაციას

★

ქართველ მეცნიერთა ხმა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში გაიმართა სახელგახელო მიტინგი. მიტინგის გახსნისას აკადემიის პრეზიდენტმა ნ. მუსხელიშვილმა განაცხადა:

— ევროპის ქვეყნების მოსკოვის თათბირი დიდმნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის გზაზე. თათბირზე მიღებული დეკლარაცია, რომელიც მიმართულია მესამე მსოფლიო ომის თავიდან აცილებისაკენ, სასიცოცხლოდ ძვირფასი და დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტია ყველა ქვეყნის მშვიდობისმოყვარე ხალხებისათვის.

დეკლარაციის ტექსტი მიტინგის დამსწრეთ გააცნო ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა მ. გეგეშიძემ.

სიტყვა ეძლევა პროფესორ ქეთევან ლომთათიძეს.

— მეცნიერ მუშაკებს, — ამბობს იგი, — გვსურს ჩვენი ცოდნა და შრომა მთლიანად მოვახმაროთ კაცობრიობის კეთილდღეობას. თუ „ძალის პოზიციის“ პოლიტიკის მომხრენი შეეცდებიან ხელი შეგვიშალონ თავისუფალ შემოქმედებითს შრომაში, მშვიდობის ძალები გააერთიანებენ თავიანთ ღონისძიებებს აგრესორთა გასაცამტვერებლად.

სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე პროფესორმა ა. ბარამიძემ, ისტორიის ინსტიტუტის ასპირანტმა გ. გიორგაძემ, მათემატიკის ინსტიტუტის სწავლულმა მდივანმა ე. დეკანოსიძემ და მეცნიერებათა აკადემიის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა შ. კვინტრაძემ.

ერთხმად მიღებული რეზოლუციით მიტინგის მონაწილეებმა ერთსულოვნად მოიწონეს ევროპის ქვეყნების მოსკოვის თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა მთავრობების დეკლარაცია.

კოლმეურნეთა პაჭრიოტული სიტყვა

ხალხმრავალი მიტინგი გაიმართა გუშინ ორთაჭალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში. მიტინგის მონაწილეებმა ერთხმად მოიწონეს სსრ კავშირის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა და ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობების დეკლარაცია.

მიტინგზე მგზნებარე პატრიოტული სიტყვებით გამოვიდნენ კოლმეურნეობის მოწინავე ადამიანები: ბრიგადირები ა. ჩარგეიშვილი და ა. ტარამიძე, მერგოლური ა. ქაჯაია, მწველავები მარია ივანიკოვა და ოლია ქაჯაია.

— კოლმეურნე გლეხობა, — განაცხადა მიტინგზე სიტყვით გამოსულმა ა. ჩარგეიშვილმა, — მთელ ჩვენს ხალხთან ერთად ერთსულოვნად მიესალმება და ერთხმად იწონებს ევროპის ქვეყნების მოსკოვის თათბირზე მიღებულ დეკლარაციას. და ეს გასაგებიც არის, ვინაიდან მოსკოვის თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა მთავრობების პოლიტიკის ბიზანია მშვიდობისა და საყოველთაო უშიშროების განმტკიცება.

ორთაჭალელმა კოლმეურნეებმა პირობა დადეს, რომ უზრუნველყოფენ საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომ აღმავლობას, რისთვისაც იკისრეს ახალი გადიდებული ვალდებულებები.

მუშა-მოსამსახურეთა მიტინგი თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში. ტრიბუნაზეა მოწინავე მჭსელავი მ. ორჯონიკიძე. ფოტო შ. ჩხეტიანისა.

★

მშვიდობა შეუნარჩუნებულ იქნება

თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში მიტინგზე მრავალი მუშა შეიკრიბა.

ევროპის ქვეყნების მოსკოვის თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა მთავრობების მიერ მიღებული დეკლარაცია მიტინგს გააცნო ფაბრიკის დირექტორმა ამხ. მ. საკანდელიძემ.

ტრიბუნაზეა მოწინავე მჭსელავი ე. ალექსანდროვა.

— ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, — აცხადებს იგი, — მოვითხოვთ მთელი გერმანიის საკითხის მშვიდობიან მოწესრიგებას, მხურვალედ მივესალმებით და ვიწონებთ ევროპის ქვეყნების მოსკოვის თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა მთავრობების მიერ მიღებულ დეკლარაციას. ვკისრულობ დეკემბრის საწარმოო დავალება 150 პროცენტით შევასრულო და მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქცია გამოვუშვა.

ფაბრიკის მოწინავე მჭსელავი მ. ორჯონიკიძე ამბობს:

— საბჭოთა ადამიანებს, დემოკრატიულ ქვეყნების ყველა ხალხს სწამთ თავიანთი ძალები და აქვთ თავიანთი დაუშრეტელი რესურსების იმედი. დაიცოდნენ ინგლისელმა, ამერიკელმა და ფრანგმა აგრესორებმა, რომ ყოველგვარ ცდას თავს დაგვესხან, გაჩაღონ ომი და დაარღვიონ ჩვენი მშვიდობიანი ცხოვრება, გამანადგურებელ წინააღმდეგობას გავუწევთ. ჩვენი ფაბრიკის კოლექტივი თავის უსაზღვრო სიყვარულს სამშობლოსადმი, თავის დაუცხრომელ მისწრაფებას მშვიდობისადმი იმით გამოხატავს, რომ კიდევ უფრო მაღალი მაჩვენებლებით შეასრულებს საწარმოო დავალებებს.

ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში მიტინგის მონაწილენი მხურვალედ იწონებენ ევროპის ქვეყნების მოსკოვის თათბირზე მიღებულ დეკლარაციას და ვალდებულებას იღებენ დეკემბრის გეგმის გადამეტებით გამოუშვან 6.000 მეტრი ხამი აბრეშუმის ქსოვილი და 25.000 მეტრი მზა ნაწარმი, ამასთან 0,3 პროცენტით შეამცირონ პროდუქციის თვითღირებულება.

ჩვენ გვსურს მშვიდობით ვიცხოვროთ და მეგობრული ურთიერთობა გვქონდეს ყველა ხალხთან

გუშინ სამუშაო დღის დამთავრებისთანავე სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ამწყობ საამქროში მიტინგზე თავი მოიყარეს მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა.

ინფორმაციით ევროპის ქვეყნების მოსკოვის თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა მთავრობების დეკლარაციის შესახებ გამოდის ქარხნის უფროსის მოადგილე ამხ. გ. მატინიანი.

სიტყვას პირველი ამბობს მოწინავე ზეინკალი, ბრიგადირი პ. ბედენაშვილი.

— მშვიდობის, სოციალიზმის ძალები, — თქვა მან, — არასოდეს არ ყოფილან ისე ძლიერნი და ისე დარაზმულნი, როგორც ახლა. ჩვენ გვსურს მშვიდობით ვიცხოვროთ და მეგობრული ურთიერთობა გვქონდეს ყველა ხალხთან. ჩვენი, საბჭოთა ადამიანების ვალია ვიმუშაოთ გაორკეცებული ენერგიით, მთელი ძალები მოვახმაროთ მშვიდობის განმტკიცების საქმეს. ბრიგადის სახელით პირობას ვიძლევი დეკემბრის გეგმა 200 პროცენტით შეასრულოთ.

პატრიოტული სიტყვა წარმოთქვა ახალგაზრდა მექანიკოსმა, კომკავშირელმა მ. ტოჩილინმა.

— სსრ კავშირის ხალხები, — ამბობს იგი, — მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას ეწევიან, კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით მტკიცე რწმენით მიდიან წინ, კომუნიზმისაკენ. ჩვენი სამართლიანი საქმე უძლეველია. ვდგები მშვიდობის ვახტზე და საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ ვკისრულობ ყოველდღიური ნორმა ორმაგად და უფრო მეტად შეასრულო.

დასასრულ საერთო-საქარხნო მიტინგის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს რეზოლუცია, რომლითაც მხურვალედ იწონებენ სსრ კავშირის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა და ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობების დეკლარაციას.

ქარხნის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა ვადამდე შეასრულოს მეხუთე ხუთწლედის ბოლო წლის დავალება და გეგმის გადამეტებით გამოუშვას ოთხი მილიონი მანეთის პროდუქცია.

★

მგაკიცად დაეარსებინ სოციალისტური მონაპოვარი

სოხუმი. (საკ. კორ.). აფხაზეთის მშრომელები — კოლმეურნეები, ფაბრიკა-ქარხნებისა და შახტების მუშა-მოსამსახურენი, ინტელიგენცია გულდასმით ეცნობიან ევროპის ქვეყნების მოსკოვის თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა მთავრობების მიერ მიღებულ დეკლარაციას.

გუშინ რესპუბლიკის საწარმოებსა და კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაიმართა მშრომელთა ხალხმრავალი კრებები და მიტინგები, რომლებზეც ერთსულოვნად იწონებენ ევროპის ქვეყნების მოსკოვის თათბირის მიერ დასახულ ღონისძიებებს, ამასთან კისრულობენ უფრო მეტი თავდადებით იმუშაონ საბჭოთა სამშობლოს საკეთილდღეოდ.

სტალინის სახელობის სოხუმის თამბაქოს ფაბრიკაში გამართულ მიტინგზე სიტყვით გამოვიდა საჰილზე საამქროს უფროსი ამხ. მ. თარბა.

— ევროპის ქვეყნების მოსკოვის თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა მთავრობებმა გადაწყვიტეს. — ამბობს იგი, — განახორციელონ ერთობლივი ღონისძიებანი, რათა დასავლეთის სახელმწიფოთა სამხედრო ბლოკის აგრესიულ ძალებს დაუპირისპირონ მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა გაერთიანებული ძლიერება. თავიანთი უშიშროების და მშვიდობიანი მშენებლობის უზრუნველყოფის ინტერესებისათვის. საბჭოთა ხალხი გამსჭვალულია რწმენით მტკიცედ დაიცვას დიადი სოციალისტური მონაპოვარი. ჩვენი საამქროს კოლექტივის სახელით ვკისრულობ ვადამდე შევასრულოთ მზა პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა.

რუსთავის მეფაღარგები მშვიდობის ვახვზე

რუსთავი. (საკ. კორ.). მეტალურგთა ქალაქის მშრომელები დიდი ინტერესით ეცნობიან ევროპის ქვეყნების მოსკოვის თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა მთავრობების დეკლარაციას. სტალინის სახელობის ამერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანაში 500-ზე მეტი აგიტატორი ესაუბრება მშრომელებს ევროპის ქვეყნების მოსკოვის თათბირის მიერ დასახულ ისტორიული მნიშვნელობის ღონისძიებებზე. მარტენის საამქროს მეფოლადეებს დეკლარაციის შინაარსი გააცნო აგიტატორმა ნ. ზემლიანოვმა. სიტყვას იღებს მოწინავე მეფოლადე ზ. კვახაძე.

— ევროპის ქვეყნების მოსკოვის თათბირმა კიდევ ერთხელ მთელი სიმკაცრით ამხილა ომის გამჩაღებელთა ბნელი ზრახვები და დასახა დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი, რომლებიც გამოხატავენ ჩვენი ხალხებისა და მთელი მშვიდობისმოყვარე კაცობრიობის ინტერესებს. ჩვენი პატრიოტული მოვალეობაა კიდევ უფრო მაღალნაყოფიერად ვიმუშაოთ საბჭოთა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის შემდგომი განმტკიცებისათვის. ვალდებულებას ვკისრულობ დეკემბერში გეგმის გადამეტებით გამოვადნო 160 ტონა მაღალხარისხოვანი ფოლადი.

გადიდებული საწარმოო ვალდებულებანი იკისრეს მეფოლადეებმა შ. შუბითიძემ, ვ. ბულგატოვმა, ოსტატმა ნ. გრეჩიხინმა და სხვებმა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. მ. მალენკოვმა სადილი გამართა ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ ევროპის ქვეყნების თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა დელეგაციების პატივსაცემად

2 დეკემბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. მ. მალენკოვმა კრემლის დიდ სასახლეში სადილი გამართა ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ ევროპის ქვეყნების იმ თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა დელეგაციების პატივსაცემად, რომელიც მოსკოვში მიმდინარეობდა ამა წლის 29 ნოემბრიდან 2 დეკემბრამდე.

სადილზე იყვნენ: პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის მეთაური პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე იუზეფ ცირანკევიჩი, დელეგაციის წევრები — საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მარიან ნაშკოსკი და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ვაცლავ ლევიკოვსკი; ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის დელეგაციის მეთაური ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ვილიამ შიროკი, დელეგაციის წევრები—საგარეო საქმეთა მინისტრი ვაცლავ დავიდი, მშენებლობის მინისტრი ემანუილ შლეხტა, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი იოზეფ პლოიგარი და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში იარომირ ვოშაგლიკი; გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის მეთაური გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ოტო გროტეოლი, დელეგაციის წევრები — პრემიერ-მინისტრის მოადგილე ვალტერ ულბრიხტი, პრემიერ-მინისტრის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი დოქტორი ლოტარ ბოლცი, პრემიერ-მინისტრის მოადგილეები ოტო ნუშკე და დოქტორი ჰანს ლოხი, გერმანიის გლეხთა დემოკრატიული პარტიის გენერალური მდივანი ბერტოლდ როზე, აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში რუდოლფ აპელტი; უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის მეთაური უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ანდრაშ ჰეგედიუში, დელეგაციის წევრები—საგარეო საქმეთა მინისტრი იანოშ ბოლდოცკი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ენდრე შიკი და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ფერენც მიუნიხი; რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის მეთაური რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე კივუ სტოიკა, დელეგაციის წევრები — საგარეო საქმეთა მინისტრი სიმიონ ბუგიჩი, საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე გრიგორე პრეოტიასა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში იონ რატი; ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის მეთაური ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ანტონ იუგოვი, დელეგაციის წევრები — მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ტრაიკოვი, საგარეო საქმეთა მინისტრი მინჩო ნეიჩევი და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში კარლო ლუკანოვი; ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის მეთაური ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მანუშ მუფტიუ, საგარეო საქმეთა მინისტრი ბეჭარ შტეფულა და ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში მიხალ პრიფტი; ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეთვალყურე ევროპის ქვეყნების თათბირზე — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ჯან ვენ-ტიანი, აგრეთვე დუნ იუე-ციანი, ვან ი-ტენი.

საბჭოთა კავშირის მხრივ სადილზე იყვნენ ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი, კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ა. ი. მიკოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბუროვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. მ. შვერნიკი, მ. ა. სუსლოვი, ა. ნ. კოსიგინი, ვ. ა. მალიშევი, ი. თ. თევოსიანი, თათბირზე სსრ კავშირის დელეგაციის წევრები: სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ა. ა. გრომიკო, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. მ. პუზანოვი, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ტ. კალჩენკო, ბელორუსიის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე კ. ტ. მაზურეროვი, ლატვიის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ტ. ლაცისი, ესტონეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ა. მიურისეპი, ლიტვის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მ. ა. გედვილასი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ა. ზორინი, საბჭოთა კავშირის მარშლები ა. მ. ვასილევსკი და გ. კ. ჟუკოვი, ავიაციის მარშალი პ. ფ. ჟიგარევი, არტილერიის მარშალი მ. ი. ნედელინი, ადმირალი ნ. ე. ბასისტი, არმიის გენერლები ა. ი. ანტონოვი, გ. კ. მალანდინი და მ. ს. მალინინი, გენერალ-პოლკოვნიკი ა. ს. ჟელტოვი, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩები ნ. პ. ფირიუბინი, ნ. ა. მიხაილოვი, გ. მ. პუშკინი, საკადესის პასუხისმგებელი ხელმძღვანელი ნ. გ. პალგუნოვი, გაზეთ „პრავდის“ მთავარი რედაქტორი დ. ტ. შეპილოვი, გაზეთ „იზვესტიის“ მთავარი რედაქტორი კ. ა. გუბინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრები მ. ვ. ზიმიანინი, ლ. თ. ილიჩოვი, ვ. ს. სემენოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე ე. დ. კისელიოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს მე-3 ევროპული განყოფილების გამგის მოადგილე მ. გ. გრიბანოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები.

სადილის დროს წარმოთქმულ იქნა სიტყვები.

სადილმა გულთბილ, გულითად ვითარებაში ჩაიარა. (საკადესი).

მშენებელთა სრულიად საკავშირო თათბირი

1 დეკემბრის საღამოს სხდომაზე დაიწყო მოხსენებათა განხილვა.

პირველმა სიტყვა წარმოთქვა სამრეწველო ნაგებობათა ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგემ პროფესორმა **ვ. ვ. მიხაილოვმა.** მან აღნიშნა, რომ საჭიროა უფრო ფართოდ გამოყენებულ იქნას მშენებლობაში რკინაბეტონის კონსტრუქციები. სამინისტროები კი უახლოეს წლებში მაღალი სიმტკიცის მასალების გამოყენებას უმნიშვნელო მოცულობით სახავენ. მაგალითად, ელექტროსადგურების მშენებლობის სამინისტრო ჰიდროტექნიკურ და სხვა ნაგებობათა აშენების დროს სრულიად არასაკმაოდ იყენებს დაძაბული არმირების პროგრესულ მეთოდს, რომელიც შესაძლებელს გახდიდა მშენებლობის დაჩქარებას, ლითონის დიდი რაოდენობით დაზოგვას. აღნიშნა რა, რომ საცხოვრებელ სახლებს ხშირად აშენებენ სადგომთა ცუდი ბგერაიზოლაციით, ორატორმა დააყენა საკითხი, რომ საჭიროა გამოშვებულ იქნას კარგი საიზოლაციო თვისებების მქონე რკინაბეტონის ასაწყობი კონსტრუქციები.

ტრესტ „კრიოვროჟსტროის“ მმართველი ამხ. **ა. პ. პობორჩი** თავის გამოსვლაში შეეხო საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია მშენებელთა მუდმივი კადრების შექმნასთან, ტექნიკური დოკუმენტაციის მოწესრიგებასთან, მშენებლობათა უზრუნველყოფასთან საჭირო ასორტიმენტის მასალებით. ორატორმა ილაპარაკა აგრეთვე მუშაობისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ. სწორი იქნებოდა, განაცხადა მან, რომ მშენებლობა დამკვეთისაგან (სამინისტროსა ან უწყებისაგან) იღებდეს ტექნიკურ პროექტსა და ხარჯთაღრიცხვას, ხოლო მთელი პასუხისმგებლობა მოწყობილობის განლაგებისათვის, ტექნიკური დოკუმენტაციის გამოშვებისა და მშენებლობის ვადაზე ჩაბარებისათვის ეკისრებოდეს მოიჯარეს. სახელმწიფო ამით მოიგებდა, ხოლო დამკვეთის აპარატიდან უშუალოდ მშენებლობაზე წავიდოდა ბევრი მცოდნე ადამიანი.

ტრესტ „ბაშნეფტეზავოდსტროის“ კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ბრიგადირმა ამხ. **მ. ფ. გულიაევმა** დამსწრეთ გაუზიარა სამუშაოების ინდუსტრიული მეთოდებით განხორციელებისას შრომის ორგანიზაციის გამოცდილება. ახალგაზრდა მშენებლებმა შრომის ნაყოფიერების გადიდების მიზნით აითვისეს თვითეულმა 3-4 პროფესია — კალატოზის, ხუროსი და სხვ. ახლა ტრესტში ამხ. გულიაევის ბრიგადის მაგალითისამებრ 1.500-ზე მეტი კაცი დაეუფლა რამდენიმე სპეციალობას და ახლებურად მუშაობს. ამის შედეგად ბევრად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, დაჩქარდა მუშებისათვის საცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემა. ამ ტრესტში 140-ზე მეტი ბრიგადა მუშაობს სამეურნეო ანგარიშით, რამაც მათ საშუალება მისცა უკანასკნელი წლების მანძილზე დაეზოგათ ასეულ ათასობით მანეთის საშენი მასალები.

სიტყვა წარმოთქვა არქიტექტორმა ამხ. **გ. ა. გრადოვმა.** საბჭოთა ხალხი, თქვა მან, სამართლიანად ამაყობს ჩვენი ქვეყნის ბევრ ქალაქში შექმნილი შესანიშნავი საცხოვრებელი კვარტალებით. მაგრამ, მიღწევებთან ერთად, არქიტექტურაში არის არსებითი ნაკლოვანებანი.

ბევრი არქიტექტორი და დამპროექტებელი ორგანიზაცია გატაცებულია შენობათა ინდივიდუალური პროექტების შექმნით, ფასადებს აძლევენ ზედმეტ პარადულ სახეს — ითვალისწინებენ მძიმე ლავგარდანებს, რთულ ობელისკებს, დეკორაციულ კოშკებსა და მსხვილ სვეტებს. ხშირია შენობის კუბატურის გადიდება. როგორც წესი ეს გამართლებული არ არის პრაქტიკული საჭიროებით და მეტად ძვირი უჯდება სახელმწიფოს.

ტიპურ დაპროექტებას მეტად მცირე ყურადღება ექცევა. სსრ კავშირის არქიტექტურის აკადემიის 120 წევრიდან მხოლოდ ცალკეული არქიტექტორები მუშაობენ მასობრივი მშენებლობის საკითხებზე. ტიპურ პროექტებს ადგენენ ინდუსტრიული მშენებლობის თანამედროვე მეთოდებისაგან მოწყვეტით.

ამ ნაკლოვანებათა მიზეზი, ორატორის აზრით, ის არის, რომ მთელ რიგ არქიტექტორებს სწორად არ ესმით ჩვენი არქიტექტურის ამოცანები და მეთოდები, როცა საფუძვლად იღებენ არა მატერიალურ მოთხოვნებს, არამედ ესთეტიკურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. არსებობს ერთიანი არქიტექტურულ-სამშენებლო დარგის დაყოფა მაღალ არქიტექტურად და ეგრეთწოდებულ უბრალო მშენებლობად. ჯეროვნად არ აფასებენ და უგულებელყოფენ ახალ ტექნიკას და ეკონომიკის მოთხოვნებს.

არქიტექტურის აკადემიის ხელმძღვანელობა არათუ არ იბრძვის შეცდომების წინააღმდეგ არქიტექტურაში, არამედ, პირიქით, მხარს უჭერს არასწორ გაგებას. მისთვის დამახასიათებელია მისწრაფება შექმნას მოჩვენებითობა, თითქოს ყველაფერი რიგზეა, და შეიკვეცოს კრიტიკა. აკადემია მნიშვნელოვანწილად მოწყვეტილია პრაქტიკას და ვერ ასრულებს თავის როგორც მეცნიერული ცენტრის როლს.

იმისათვის, რომ აღმოიფხვრას ჩამორჩენა არქიტექტურაში, ამბობს შემდეგ ამხ. გრადოვი, საჭიროა მოისპოს ამ ჩამორჩენის მიზეზები, საჭიროა აღმოიფხვრას ფორმალისტური დამახინჯებანი და უძრაობა არქიტექტურაში, მთლიანად დაექვემდებაროს არქიტექტურა ჩვენი საზოგადოების საარსებო ამოცანებს, დაუახლოვდეს თანამედროვე ტექნიკას.

ელექტროსადგურების მშენებლობის მინისტრმა ამხ. **ფ. გ. ლოგინოვმა** განაცხადა, რომ საბჭოთა ენერგეტიკოსები და მშენებლები დიდი აღფრთოვანებით მუშაობენ ელექტროსადგურებისა და ელექტროგადაცემის ხაზების მშენებლობაზე. ამჟამად შენდება ახალი და ფართოვდება მოქმედი თბოელექტროსადგურები, შენდება ბევრი ჰიდროელექტროსადგური. უკანასკნელი წლების მანძილზე მკვეთრად გადიდდა სახსრების ათვისება კაპიტალური მშენებლობისათვის. 1954 წელს ეს დაბანდებანი ბევრად გადააჭარბებს 1940 წლის დაბანდებებს, ამავე პერიოდში მნიშვნელოვნად დიდდება ელექტროსადგურებში ახალ სიმძლავრეთა ამუშავება.

დაახასიათა რა ელექტროსადგურების სამშენებლო სამუშაოთა ორგანიზაცია, ამხ. ლოგინოვმა აღნიშნა, რომ სამინისტროს სამშენებლო ორგანიზაციებს საკმაო რაოდენობით არა აქვთ მსხვილი ცენტრალიზებული მექანიზებული დამხმარე საწარმოები. დღემდე თვითეული სამშენებლო მოედანი ქმნის თავის ხურგს, თავის სამშენებლო საწარმოებს. ამასთან, ძირითადი ობიექტის მშენებლობის დაწყებამდე შენდება საცხოვრებელი სახლები, როგორც დროებითი, ისე მუდმივი ტიპისა, მისასვლელი გზები. მოსამზადებელი პერიოდის სამუშაოთა მოცულობა რომ შემცირდეს, ამბობს ამხ. ლოგინოვი, საჭიროა პირველ რიგში გავათავისუფლოთ მშენებლობა სადურგლო ნაკეთობათა, წყდაბლოკიანი ლითონკონსტრუქციებისა და რკინაბეტონის მწარმოებელ დამხმარე საწარმოთა შექმნისაგან. სამინისტრომ და მისმა ორგანიზაციებმა მშენებლობის ვადების შემცირებისათვის დიდი ორგანიზაციულ-ტექნიკური მუშაობა შეასრულეს: შემუშავებული და პრაქტიკაში დანერგილია ასაწყობ-დასამლელი ბეტონის ქარხნები, რომლებიც კომპლექტურად ეგზავნება მშენებლობას. ათობით ასეთი ქარხანა უკვე მუშაობს.

საღამოს სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროს „გლავსიბსტროის“ მთავარი ინჟინერი ამხ. **ა. მ. ვეკსმანი** და სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროს № 25 სამშენებლო ტრესტის მთავარი ინჟინერი ამხ. **ე. მ. გრაბინსკი.**

* * *

კრემლის დიდ სასახლეში 2 დეკემბერს მუშაობას განაგრძობდა მშენებელთა, არქიტექტორთა და საშენი მასალების მრეწველობის, სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის, დამპროექტებელი და სამეცნიერო-საკვლევი ორგანიზაციების მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირი, რომელიც მოწვეულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ.

სხდომის დარბაზი სავსეა თათბირის მონაწილეებით, რომლებიც მოსკოვს ჩამოსული არიან ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან. ესწრებიან უცხოელი სტუმრები — მშენებლები, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებიდან. მთავრობის ლოჟებში არიან ამხანაგები: **ნ. ა. ბულგანინი, ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიკოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბაროვი, ნ. ს. ხრუშჩოვი** და **ნ. მ. შვერნიკი.**

დილის სხდომაზე გრძელდებოდა მოხსენებათა განხილვა.

ინტერესით მოისმინეს სტალინგრადის საბინაო მშენებლობის ტრესტის კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირის ამხ. **ვ. ვ. რუდნიცკის** სიტყვა. კადრის მშენებელი, რომელსაც ოცი წლის საწარმოო გამოცდილება აქვს, იგი შარშან სათავეში ჩაუდგა ახალგაზრდა მუშებისაგან შემდგარ კომპლექსურ ბრიგადას.

სწორედ ამ ბრიგადის მუშაობის გამოცდილებასა და შრომის კომპლექსური მეთოდის უპირატესობაზე ილაპარაკა ამხ. რუდნიცკიმ. კომპლექსური ბრიგადა 25 კაცის შემადგენლობით ასრულებს მთელ იმ სამუშაოს, რომელსაც წინათ 35 კაცი ასრულებდა. ეს 35 კაცი შედიოდა სამ სხვადასხვა ბრიგადაში — კალატოზთა, ხუროთა და დამხმარე მუშათა ბრიგადებში. მუშათა რიცხვის შემცირების მიუხედავად, მნიშვნელოვნად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება. თუ წინათ ბრიგადა ცვლაში 12-13 ათას აგურს აწყობდა, ახლა იგი 18 ათას აგურს აწყობს. წინანდელი წესის დროს თვითეულ კალატოზზე მოდიოდა ორი დამხმარე მუშა, ხოლო ახლა ეს ორი მუშა სამ კალატოზს ემსახურება.

სამხედრო მშენებლობის მთავარი სამმართველოს ინჟინერმა ამხ. **ა. ბ. მაკაროვმა** თავისი სიტყვა მიუძღვნა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის პრაქტიკაში ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების დანერგვის საკითხებს.

ჩვენი სამმართველოს მშენებელთა კოლექტივმა, ამბობს ამხ. მაკაროვი, მოსკოვში ააგო ჩვიდმეტი ოთხ-ხუთსართულიანი ასაწყობი კარკას-პანელის საცხოვრებელი სახლი. ამ შენობათა აგება შესანიშნავი სკოლაა არა მარტო მოსკოვის, არამედ აგრეთვე ჩვენი ქვეყნის მთელი რიგი სხვა ქალაქების დამპროექტებელთა, მშენებელთა და ტექნოლოგთათვის.

შემდეგ ამხ. მაკაროვი შეეხო ქარხნებისა და პოლიგონების პირობებში გადახურვათა პანელებისა და მრავალღრუიანი ფენილების დამზადების საკითხებს.

კუიბიშევჰიდრომშენის უფროსმა ამხ. **ი. ვ. კომზინმა** ილაპარაკა იმ გიგანტურ შენებლობაზე, რომელიც გაჩაღდა რუსეთის დიდი მდინარის ნაპირზე.

1955 წელი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის გადამწყვეტი, ამუშავების წელი იქნება. ივლისში მწყობრში ჩადგება ქვედა სანაოსნო რაბები.

უდიდესი მნიშვნელობა ექნება ვოლგის კალაპოტის გადახიდვის სამუშაოებს. ჰიდროკვანძის მშენებლობაზე უკვე აგებულია თორმეტ კილომეტრზე მეტი რთული ზღუდარი, და მდინარე, რომელსაც გარს არტყია კამხალის მარცხენა სახაპირო ნაწილი და ჰიდროკვანძის ზღუდარები, მის საგდულში ატარებს წამში დაახლოებით 10 ათას კუბურ მეტრ წყალს. ეს იმას მოწმობს, თუ რამდენად რთულია ვოლგის გადახიდვის ამოცანა, რადგან ცნობილია, რომ დონის გადახიდვა ხდებოდა ისე, რომ წამში გადიოდა სულ მხოლოდ 200 კუბური მეტრი წყალი. მოსკოვის, ლენინგრადის, კუიბიშევისა და სხვა ქალაქების სამეცნიერო დაწესებულებანი ახლა ლაბორატორიებსა და პოლიგონებში იკვლევენ ვოლგის გადახიდვის ყველაზე ეფექტიან მეთოდებს. განაწილებულია დაკვეთები ტივტივა ხიდების, სპეციალური კონსტრუქციის ავტოთვითსაცლელების დამზადებაზე, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი იქნება უზრუნველვყოთ დღეღამეში სულ ცოტა 30 ათასი კუბური მეტრი ქვის ჩაყრა ვოლგაში. ამავე დროს ამხ. კომზინმა აღნიშნა, რომ ვოლგის გადახიდვასთან დაკავშირებული მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი საკითხები ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი.

ჩელიაბინსკის მეტალურგმშენის ტრესტის მმართველი ამხ. **ვ. ა. პეტროვი** თავის გამოსვლაში შეეხო სსრ კავშირის მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს ურალის მთელი რიგი ტრესტების არადამაკმაყოფილებელი მუშაობის მიზეზებს. ეს მიზეზები, თქვა მან, უწინარეს ყოვლისა კაპიტალურ სამუშაოთა დაგეგმვის ნაკლოვანებებია. როგორც წესი, მომავალი წლის სამუშაოთა მოცულობას სახღვრავენ დიდი დაგვიანებით, ხოლო წლის განმავლობაში ამ გეგმებში შეაქვთ ბევრი ცვლილება.

ორატორმა აღძრა საკითხი, რომ მსხვილ სამშენებლო ტრესტებში შეიქმნას საკუთარი მძლავრი ბაზები — გამსხვილებული მოწყობილობისა და კონსტრუქციების ასაწყობი სახელოსნოები, ბინები მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისათვის, მექანიზმების სარემონტო და მათი სათადარიგო ნაწილების დამამზადებელი ქარხნები და სხვ.

ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. **ი. ტ. ტაჟიევმა** აღნიშნა, რომ რესპუბლიკაში კაპიტალური მშენებლობის გეგმის არადამაკმაყოფილებელი შესრულება აიხსნება უწინარეს ყოვლისა საშენი მასალების მრეწველობის განვითარების ჩამორჩენით. კირის, ალებასტრის, ცემენტის წარმოება ჯეროვნად არ არის მოწყობილი. სახურავის მასალები, მოსაპირკეთებელი და კერამიკული ფილები, მილები, მინა და სანიტარულ-ტექნიკური ხელსაწყოები სხვა მოკავშირე რესპუბლიკებიდან შემოგვაქვს.

წელს საკავშირო მთავრობამ მიიღო დადგენილება ყაზახეთში საშენი მასალების განვითარების ღონისძიებათა შესახებ. გათვალისწინებულია რესპუბლიკაში აშენდეს ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და საკედლე მასალების გამომშვები ათობით ქარხანა, ცემენტისა და თაბაშირის საწარმოები და სხვ. ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ახორციელებენ ღონისძიებებს რკინაბეტონის ნაკეთობათა იმ ქარხნების ვადამდე ასამუშავებლად, რომლებიც ამჟამად შენდება.

დასასრულ ამხ. ტაჟიევი ამბობს, რომ ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების უდიდეს პროგრამასთან დაკავშირებით რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში უნდა შესრულდეს დიდი მოცულობის კაპიტალური მშენებლობა.

უკრაინის სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის მინისტრმა ამხ. **ვ. ვ. ონიშჩენკომ** ილაპარაკა მშენებლობის ორგანიზაციის და განსაკუთრებით, დაგეგმვის სერიოზულ ნაკლოვანებებზე. რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიას კვლავ შეაქვს იმ საიჯარო სამუშაოთა სია, რომლებიც უნდა შეასრულონ სამშენებლო ორგანიზაციებმა ან სამინისტრომ, ობიექტები, რომლებიც უზრუნველყოფილი არ არის ტექნიკური დოკუმენტაციით, შეაქვს ეგრეთწოდებული დამატებითი დავალების სახით. ეს იწვევს იმას, რომ ტრესტი, რომელიც მთლიანად გეგმას ასრულებს, ვერ ასრულებს გეგმას ცალკეული ობიექტების მიხედვით, ქსაქსავს მატერიალურ, ტექნიკურ და ადამიანთა რესურსებს.

შემდეგ ამხ. ონიშჩენკო ამბობს, რომ საჭიროა მშენებლობის გეგმები ზუსტად შეესაბამებოდეს სამშენებლო ორგანიზაციების უზრუნველყოფას მასალებით.

სსრ კავშირის ნავთობის მრეწველობის სამინისტროს ნავთობსადენის მშენებლობის მთავარი სამმართველოს უფროსმა ამხ. **ვ. ა. პაჩკინმა** ილაპარაკა მაღალი წნევის მაგისტრალური ბილსადენების მშენებლობის საკითხებზე. 1951-1954 წლებში გაყვანილია რამდენიმე ათასი კილომეტრი მილსადენი.

როგორც ორატორმა აღნიშნა, მილსადენების მშენებლობაში სერიოზული ნაკლოვანებებია. ჯერ კიდევ არასაკმაოდ ინერგება მიწისზედა ნაგებობათა მშენებლობის დროს აწყობითი მშენებლობის მეთოდები, აღმოფხვრილი არ არის სეზონურობა მთელ რიგ სამუშაოთა წარმოებაში.

დილის სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე ბელორუსის სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის მინისტრი **ვ. გ. კამენსკი,** ექსკავატორთა კოლონის მემანქანე **ნ. პ. უსაჩევი,** მოსკოვის დაპროექტების სამმართველოს მთავარი ინჟინერი **ვ. პ. ლაგუტენკო.**

* * *

მშენებელთა სრულიად საკავშირო თათბირის 2 დეკემბრის საღამოს სხდომაზე პირველი გამოვიდა მანქანათმშენებლობის მრეწველობის მთავარი სამმართველოს სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს მთავარი კონსტრუქტორი სტალინური პრემიის ლაურეატი ამხ. **ა. ა. მელია.** მას წინადადება შეაქვს გაფართოვდეს ნახევრადმშრალი წნეხვის მოსაპირკეთებელი კერამიკული ფილების წარმოება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის კომიტეტის მდივანმა ამხ. **ვ. ვ. გრიშინმა** თავის სიტყვაში ილაპარაკა მოსკოვის ოლქში მშენებლობის საკითხებზე. წელს საცხოვრებელი სახლების, სკოლებისა და საავადმყოფოების, ბავშვთა დაწესებულებების ასაგებად ოლქში ასიგნებულია ორნახევარჯერ მეტი თანხა, ვიდრე 1950 წელს.

მთელი რიგი მშენებელი ორგანიზაციების უდავო წარმატებათა მიუხედავად, საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის გეგმა მთლიანად ოლქში დამაკმაყოფილებლად არ სრულდება.

მოსკოვის ოლქში დიდი მშენებლობა ხორციელდება კოლმეურნეობებსა და მტს-ებში, ამბობს ამხ. გრიშინი. წელს შენდება 82 ახალი მანქანა-ტრაქტორთა სადგური, უკვე აშენებულია მეცხოველეობის ბევრი სადგომი, სასილოსე კოშკი, საამბული. მაგრამ სოფლის მშენებლობაში ჯერ კიდევ საკმაოდ არ იყენებენ გამძლე მასალებს, კერძოდ, ასაწყობ რკინაბეტონის კონსტრუქციებს.

ცემენტის ქარხანა „გიგანტის“ დირექტორმა ამხ. **პ. ფ. ზნიკინმა** ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ იბრძვის საწარმოს კოლექტივი ცემენტის გამოშვების გადიდებისათვის.

საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. **ა. ნ. შელეპინმა** ილაპარაკა მშენებლობის გრანდიოზული გეგმების განხორციელებაში ახალგაზრდობის მონაწილეობაზე. მშენებლობებზე მუშაობს ორ მილიონამდე ახალგაზრდა მუშა, მათ შორის 330 ათასზე მეტი კომკავშირელი. ახალგაზრდათა წრეში გაიზარდა წარმოების ბევრი ნოვატორი, შეჯიბრების მოწინავე.

ამხ. შელეპინმა ამასთან ერთად აღნიშნა, რომ მშენებლობათა ბევრი კომკავშირული ორგანიზაცია ვერ უზრუნველყოფს იმას, რომ პარტიული ორგანიზაციების აქტიური თანაშემწე იყოს მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის, უყაირათობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ზოგიერთ მშენებლობაზე სამეურნეო ხელმძღვანელობა სწორად არ ეკიდებიან ახალგაზრდა მშენებელთა საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს, არის სერიოზული ნაკლოვანებანი ტექნიკური სწავლების ორგანიზაციაში.

როსტოვისა და კამენკის ოლქებში სამრეწველო და საბინაო მშენებლობის ნაკლოვანებებზე ილაპარაკა ტრესტ „როსტოვშახტოსტროის“ მმართველმა ამხ. **ა. კ. ბელეტოვმა.**

მშენებლობის სამინისტროს ლენინგრადის ტრესტის მმართველმა ამხ. **ე. გ. სტრუალკოვსკიმ** აღნიშნა, რომ ლენინგრადში წლითიწლობით იზრდება საბინაო მშენებლობის მოცულობა. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე იგი უფრო მაღალ ტექნიკურ დონეზე ავიდა. მშენებლობებზე მუშაობს ბევრი მძლავრი ტექნიკა, რომელიც საშუალებას იძლევა გავადიდოთ ასაწყობი კონსტრუქციების გამოყენება და შეგვიმცროთ სამუშაოთა შრომატევადობა.

ორატორმა ილაპარაკა მუშაობის დიდ ნაკლოვანებებზეც. ლენინგრადის ზოგიერთი სამშენებლო ტრესტი ვერ უზრუნველყოფს გეგმების შესრულებას. ძლიერ ჩამორჩება საცხოვრებელი ფართობების საექსპლოატაციოდ გადაცემა. ამასთან მათი მაქსიმალური რაოდენობის საექსპლოატაციოდ გადაცემა წლითიწლობით ხდება შემოდგომა-ზამთრის პერიოდში, წლის დამლევს.

სიტყვა ეძლევა ცნობილ ნოვატორს, „სტალინგრადჰიდრომშენის“ მექანიზაციის საამქროს უფროსს, სოციალისტური შრომის გმირს ამხ. **დ. ა. სლეპუხას.** იგი ამბობს, რომ სტალინგრადის ჰესის მშენებლობაზე შექმნილია მძლავრი საწარმოო ბაზა, შესრულებულია მომავალი ჰიდროელექტროსადგურის ძირითად ნაგებობათა მშენებლობის მნიშვნელოვანი მოცულობის სამუშაოები. მაგრამ მშენებლობაზე ჯერ კიდევ ცუდად იყენებენ მექანიზმებს. მიმდინარე წლის ცხრა თვეში ექსკავატორების პარკმა დროის თითქმის ნახევარი დაკარგა რემონტზე მოცდენებისა და ორგანიზაციული მოუწესრიგებლობის გამო.

სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის ნავთობის მრეწველობის მინისტრის მოადგილემ ამხ. **ს. ზ. გინზბურგმა.** მან მთავარი ყურადღება მიაქცია იმას, რომ საჭიროა შეიქმნას მშენებელთა მუდმივი კადრები. ამხ. გინზბურგმა ილაპარაკა აგრეთვე სერიოზულ ნაკლოვანებებზე კაპიტალურ მშენებლობათა დაგეგმვაში, იმაზე, რომ საჭიროა გამსხვილდეს სამშენებლო ორგანიზაციები.

თათბირი მუშაობას განაგრძობს.

(საკვლესი).

კ ო მ უ ნ ი კ ე

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ა. ი. მიკოიანის ფინეთში ყოფნის შესახებ

ამა წლის 26 ნოემბრიდან 1 დეკემბრამდე ფინეთის მთავრობის მიწვევით ფინეთში იმყოფებოდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ი. მიკოიანი.

ა. ი. მიკოიანი დაესწრო ყინულმჭრელ „კაპიტან ვორონინის“ წყალში ჩაშვებას, რომელსაც სსრ კავშირისათვის აშენებენ, სსრ კავშირისათვის აგებულ ყინულმჭრელ „კაპიტან ბელოუსოვზე“ ალმის აღმართვას და ყინულმჭრელ „კაპიტან მელეხოვის“ მშენებლობის დაწყებას. ა. ი. მიკოიანი გაეცნო ფინეთის მთელ რიგ საწარმოებსა და კულტურულ დაწესებულებებს, გარდა ჰელსინკისა ინახულა ქალაქები ტურკუ და ტამპერე.

ა. ი. მიკოიანი ფინეთში ყოფნის დროს მიიღეს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ბ-ნმა ი. პასიკივიმ და პრემიერ-მინისტრმა ბ-ნმა უ. კეკონენმა. ა. ი. მიკოიანი ესაუბრა აგრეთვე სეიმის თავმჯდომარეს ბ-ნ კ. ფაგერჰოლმს, საგარეო საქმეთა მინისტრს ბ-ნ ვიროლაინენს და მთავრობის სხვა წევრებს, აგრეთვე ფინეთის ბევრ პოლიტიკურ, ეკონომიურ და საზოგადო მოღვაწეს. ამასთან მოხდა აზრთა ურთიერთგაზიარება საბჭოთა კავშირ-ფინეთის ურთიერთობის შემდგომი განვითარების შესახებ. აღინიშნა ამ ურთიერთობის წარმატებით განვითარება ბოლო წლებში სსრ კავშირსა და ფინეთს შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ 1948 წელს დადებული ხელშეკრულების ბაზაზე. აღინიშნა აგრეთვე თანხმობა იმაზე, რომ ორივე ქვეყნის ინტერესებს შეესაბამება საბჭოთა კავშირისა და ფინეთის ურთიერთობის შემდგომი განვითარება და განმტკიცება ზემოაღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე.

ა. ი. მიკოიანმა აცნობა ფინეთის მთავრობას, რომ საბჭოთა მთავრობა, ხელმძღვანელობს რა საბჭოთა კავშირ-ფინეთის ეკონომიური ურთიერთობის შემდგომი განვითარებისადმი მისწრაფებით და აკმაყოფილებს რა ფინეთის მხარის სურვილებს, დათანხმდა მისცეს ფინეთს სესხი და რომ სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრს დაეკვალა მოელაპარაკოს ფინეთის წარმომადგენლებს ამ საკითხზე.

მიზანშეწონილად ცნეს, რომ შემდგომ განვითარდეს სსრ კავშირსა და ფინეთს შორის მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა, რომელიც ითვალისწინებს ტექნიკური ინფორმაციის გაცვლას მრეწველობის ცალკეულ დარგებში ურთიერთსასარგებლო პირობებში, ლენინგრადსა და ინჟინერთა ურთიერთმიწვევას მოხსენებათა წასაკითხავად, სტუდენტების, ფილმების გაცვლას, გაერთიანებული მეცნიერულ-ტექნიკური თათბირების მოწყობას და სხვ.

მოხდა აგრეთვე აზრთა ურთიერთგაზიარება საერთაშორისო მდგომარეობის საერთო საკითხებზე, რომლებიც აინტერესებს სსრ კავშირსა და ფინეთს. აღიარებულ იქნა, რომ ამჟამად უფრო მეტად, ვიდრე წინათ, საჭიროა განხილულ იქნას, თუ როგორ შეიძლება გაერთიანდეს ყველა სახელმწიფოს — დიდი და პატარა სახელმწიფოების — ლონისძიებანი, მათი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების მიუხედავად, რათა შეიქმნას სრულიად ევროპის უშიშროების სისტემა და განმტკიცდეს მშვიდობა ევროპაში. ამასთან დაკავშირებით კვლავ დადასტურდა, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობა და ფინეთის მთავრობა ისწრაფვიან თავიანთი წვლილი შეიტანონ ევროპის სახელმწიფოთა კოლექტიურ ღონისძიებებში, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებისა და პრინციპების შესაბამისად მიმართულია ამ მაღალი მიზნის მიღწევისაკენ.

საუბრებმა, რომლებიც მეგობრულ ატმოსფეროში ბიმდინარეობდა, ცხადყვეს, რომ არსებობს ორივე მხარის ფართო ურთიერთგაგება.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

აბაშის, აბარის და მარნეულის მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

აბაშის, აბარის და მარნეულის მანქანა-ტრაქტორთა სადგურების შენების დღიდან 25 წლის შესრულებასთან დაკავშირებით, ხანგრძლივი და უშრეტი მუშაობისათვის დაჯილდოებულ იქნან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელთ:

აბაშის მანქანა-ტრაქტორთა სადგურიდან:

1. **ბოკერია** რომანოზ ალექსანდრეს-ძე — მექანიკოსი.
2. **ბოკუჩავა** შალვა ივანეს-ძე — მექანიკოსი.
3. **გუგუშვილი** რაფიელ ალექსანდრეს-ძე — მთავარი ინჟინერი.
4. **კაჭარავა** ნიკანდრო ერასტის-ძე — მექანიკოსი.
5. **კაჭარავა** რაფდენ ალექსანდრეს-ძე — დირექტორი.
6. **მიგინეიშვილი** ისაკ თეიმურაზის-ძე — ტრაქტორისტი.
7. **შამათავა** ივანე ალექსანდრეს-ძე — აგრონომი.
8. **ჭანტურაია** აპოლონ პავლეს-ძე — მექანიკოსი.
9. **ჭანტურაია** გრიგოლ გიორგის-ძე — სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი.

აბარის მანქანა-ტრაქტორთა სადგურიდან:

1. **ბარბაქაძე** ანდრია პავლეს-ძე — დირექტორი.
2. **ბერუაშვილი** ალექსანდრე იოსების-ძე — მექანიკოსი.
3. **გულარაძე** ივანე ალექსანდრეს-ძე — კომბაინერი.
4. **ზუბაშვილი** დიმიტრი იოსების-ძე — სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი.
5. **კოკუაშვილი** არჩილ იოსების-ძე — ტრაქტორისტი.
6. **კორინთელი** დიმიტრი გიორგის-ძე — აგრონომი.
7. **ნაკაშიძე** გრიგოლ თევდორეს-ძე — სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი.
8. **ნოზაძე** გიორგი ვლადიმერის-ძე — კომბაინერი.
9. **ოსაძე** იასონ ივანეს-ძე — ტრაქტორისტი.
10. **რაზმაძე** ივანე სიმონის-ძე — მეველი.
11. **ტატვინიძე** ალექსი ვასილის-ძე — სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი.
12. **ჩუტკერაშვილი** ზაქარია დავითის-ძე — მექანიკოსი.
13. **ცოტნიაშვილი** ალექსანდრე პავლეს-ძე — მექანიკოსი.
14. **ჭაბუკიანი** თალიკო მათეს ასული — აგრონომი.

მარნეულის მანქანა-ტრაქტორთა სადგურიდან:

1. **ალაბეგრდი** ოღლი მამედ — სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი.
2. **ალიევი** მამედ ალი კამალი ოღლი — სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი.
3. **ბაბასიანი** ერვანდ ამბარცუმის-ძე — დირექტორი.
4. **ბელოუსოვი** ვასილ ანტიფოს-ძე — მეველი.
5. **გულიევი** ჰასან გულუ ოღლი — ტრაქტორისტი.
6. **დემურჩიევი** ზეიბალა კიში ოღლი — სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი.
7. **ელჩი** ნაბი ოღლი — ტრაქტორისტი.
8. **ერემინი** ალექსი, არქიპოს-ძე — კომბაინერი.
9. **იუშკო** პეტრე ზაქარიას-ძე — კომბაინერი.
10. **მამედოვი** მოლა სულეიმან ოღლი — ყარაღანის მტს-ის ყოფილი მთავარი ინჟინერი, ამჟამად სახელოსნოს გამგე.
11. **ფარზალიევი** მუსა რაგიმ ოღლი — სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ძვლიშვილი.

ქ. თბილისი. 1954 წ. 29 ნოემბერი.

გათუმის თევზჭერის გაზამ მეორე საკავშირო პრემია მიიღო

საქთევ

რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული საწარმოები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ მესამე კვარტალში მოპოვებული მაჩვენებლების მიხედვით საწარმოთა რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ კოლექტივებს მიაკუთვნეს გარდამავალი წითელი დროშები და ფულადი პრემიები.

პირველი პრემია 16.875 მანეთის რაოდენობით მიეკუთვნა საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს თბილისის საგალანტერიო ფაბრიკას (დირექტორი ამხ. ვ. კიფარენკო, საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ზ. ქარქაშაძე), რომელსაც ამასთანავე დაუტოვეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსაგან წინათ მიღებული გარდამავალი წითელი დროშა.

პირველი პრემია 16.875 მანეთის რაოდენობით და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა მიეკუთვნა თბილისის საქალაქო საბჭოს ადგილობრივი ბრეწველობის განყოფილების აგურის მესამე ქარხანას (დირექტორი ამხ. მ. ნაკაიძე, საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. კ. გუგავა).

პირველი პრემია 9.450 მანეთის რაოდენობით და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა მიეკუთვნა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს გამომცემლობათა, პოლიგრაფიული რეწველობის და წიგნის ვაჭრობის მთავარი სამმართველოს ფოტოციანკოგრაფიას (დირექტორი ამხ. ი. ნაცვლიშვილი, საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ზ. ნაცვლიშვილი).

თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს (უფროსი ამხ. გ. მშვიდობაძე, საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ს ქსოვრელი) და ქალაქ ბათუმის ავტანოს მეურნეობას (მმართველი ამხ. ე. დარჩია, ადგილკომის თავმჯდომარე ამხ. ს. წულაძე) მიეკუთვნათ პირველი პრემიები, პირველს 145.500 მანეთის რაოდენობით, ხოლო მეორეს 9.450 მანეთის რაოდენობით. ამასთან მათ დაუტოვეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსაგან წინათ მიღებული გარდამავალი წითელი დროშები.

პირველი პრემია 18.000 მანეთის რაოდენობით და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა მიეკუთვნა ლითონსამშენებლო სარეწაო კავშირის არტელ „ქიმლაქსაღებავს“ (გამგეობის თავმჯდომარე ამხ. მ. ჭანტურიძე).

მეორე პრემია მიეკუთვნა ოთხ საწარმოს, ხოლო მესამე პრემია — 2 საწარმოს.

ამასთან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ აღნიშნეს, რომ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სისტემაში საწარმოო დავალება ვერ გაანაღდა რესპუბლიკური დაქვემდებარების 4 საწარმომ და რაიონული დაქვემდებარების 21 საწარმომ. ამავე სამინისტროს სისტემის საწარმოებმა გეგმა ვერ შეასრულეს პროდუქციის 12 სახის მიხედვით, ხოლო რაიონულმა საწარმოებმა — 80 სახიდან 30 სახის მიხედვით.

საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმები ვერ შეასრულა აგრეთვე კულტურის სამინისტროს გამომცემლობათა, პოლიგრაფმრეწველობის და წიგნის ვაჭრობის მთავარი სამმართველოს 19 საწარმოდან 8 საწარმომ.

საქართველოს სარეწაო საბჭოს სისტემაში არსებული 234 არტელიდან საწარმოო გეგმა არ შეუსრულებია 63-ს. ჩამორჩნენ აგრეთვე კომუნალური მეურნეობის სამინისტროს ცალკეული საწარმოები — თელავი, თბილისის წყალსადენის ტრესტი, გუდაუთის, ქუთაისის, ახალციხის, ქლუხორის, ონის, ხაშურის წყალსადენების, ქობულეთის, გორის და ზუგდიდის ელექტრომეურნეობათა კოლექტივები.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„ბულისხმიერად მოვეკიდოთ მშრომელთა მოთხოვნებს“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 14 ნოემბრის ნომერში დაიბეჭდა წერილი, რომელიც მხილებული იყო საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში მშრომელთა მიღებისადმი, მათი საჩივრებისა და განცხადებებისადმი არაგულისხმიერი დამოკიდებულების ფაქტები.

ამ წერილთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ამხ. დ. მამამთავრიშვილი გვატყობინებს: წერილი განხილულ იქნა სამინისტროს სამმართველოებისა და განყოფილებათა უფროსების სპეციალურ თათბირზე; კაღრეის სამმართველოში წერილებისა და განცხადებების აღრიცხვის გასაუმჯობესებლად სამინისტრომ დასახა ღონისძიებანი.

ზუგდიდის რაიონიდან და ჭიათურის რაიონის სოფელ დარკვეიდან შემოსული მშრომელთა განცხადებებისადმი არაგულისხმიერი დამოკიდებულებისათვის დადათა და ბაეშვთა სამკურნალო დახმარების სამმართველოს უფროსს ამხ. ლ. გეგიას და მთავარ სპეციალისტს პროფესორ ა. სიჭინავას მიეთითათ. ბავშვთა განყოფილების გამგეს თ. მაჭავარიანს და უფროს ინსპექტორს მ. არონს, აგრეთვე ზუგდიდისა და ჭიათურის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებათა გამგეებს შ. კვირკველიას და მ. ფუტკარაძეს გამოეცხადათ საყვედური.

„ბულისხმიერად მოვეკიდოთ მშრომელთა მოთხოვნებს“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 14 ნოემბრის ნომერში დაიბეჭდა წერილი, რომელიც მხილებული იყო საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში მშრომელთა მიღებისადმი, მათი საჩივრებისა და განცხადებებისადმი არაგულისხმიერი დამოკიდებულების ფაქტები.

ამ წერილთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ამხ. დ. მამამთავრიშვილი გვატყობინებს: წერილი განხილულ იქნა სამინისტროს სამმართველოებისა და განყოფილებათა უფროსების სპეციალურ თათბირზე; კადრების სამმართველოში

უნივერსიტეტის მინერალოგიის მუზეუმი

მრავალი საინტერესო ექსპონატია თავმოყრილი სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მინერალოგიის მუზეუმში. აქ არის მინერალები და ქანები დედამიწის ყველა კუთხიდან — ევროპიდან, აზიიდან, ამერიკიდან, აფრიკიდან. მეცნიერებისათვის ცნობილი 2.000-მდე სახელწოდების მინერალიდან მუზეუმშია 1.000 სახელწოდების 25.000 ნიმუში.

განსაკუთრებით მდიდრად არის წარმოდგენილი ჩვენი რესპუბლიკის მინერალები. ყურადღებას იპყრობს სხვადასხვა ფერის ქართული მარმარილოს ნიმუშები.

მუზეუმს კავშირი აქვს ჩვენი ქვეყნის მთელ რიგ უმაღლეს სასწავლებლებთან, აწარმოებს მათთან მინერალების გაცვლას. 100-ზე მეტი სახის მინერალისაგან შემდგარი კოლექცია გაეგზავნა მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტს, ომისაგან დაზარალებულ ხარკოვისა და კიევის უნივერსიტეტებს. ახლო ხანში გაეგზავნებათ კოლექციები მინსკისა და ლვოვის უნივერსიტეტებს.

დიდძალი მინერალი გაეგზავნა ჩვენი რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებს, მხარეთმცოდნეობის მუზეუმებს, მთელ რიგ საშუალო სკოლებს.

მუზეუმის ექსპონატთა რიცხვი ყოველწლიურად იზრდება. მას მდიდარი კოლექცია გადასცეს პროფესორებმა ა. თვალჭრელიძემ, გ. ძოწენიძემ, ნ. თათარიშვილმა, გ. გვახარიამ და სხვ.

ახლახან პამირში მოწყობილი მაღალმთიანი ალპინისტური ექსპედიციის მონაწილემ ა. ქავთარაძემ მუზეუმს ჩამოუტანა აქტინოლიტის საინტერესო ნიმუშები. დიდძალი მინერალები ჩამოიტანეს აგრეთვე მიმდინარე წლის ზაფხულში სვანეთში, გურიაში და თეთრი წყაროს რაიონში მოწყობილმა ექსპედიციებმა.

მინერალოგიის მუზეუმი დიდ დახმარებას უწევს მეცნიერ მუშაკებს, ასპირანტებსა და სტუდენტებს. მუზეუმში გამოფენილ ექსპონატებს დიდი ინტერესით ათვალიერებს ათობით სტუდენტთა და მოსწავლეთა ექსკურსია.

სურათზე: უნივერსიტეტის მინერალოგიის მუზეუმში. ფოტო შ. ჩხეტიანისა.

საქართველოს მხატვართა ნამუშევრების მოძრავი გამოფენა

საქართველოს კულტურის სამინისტრომ საქართველოს მხატვართა კავშირთან ერთად მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა მხატვრების ნამუშევართა მოძრავი გამოფენის მოწყობით.

მოძრავი გამოფენა გაიმართა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს რაიონებში. გარდა ამისა, ცნობილი ქართველი მხატვრის თამარ ამაკელიას ნამუშევართა გამოფენა მოეწყო სოხუმში, ბათუმსა და ქუთაისში.

მარტო მეორე მოძრავი გამოფენა ნაჩვენები იქნა დასავლეთ საქართველოს თეთრიწყარო — ორჯონიკიძის, ზესტაფონის, ჭიათურის, საჩხერის, თერჯოლის, ტყიბულის, ქუთაისის, მაიაკოვსკის, ვანის, სამტრედიის და წულუკიძის რაიონებში. მშრომელი მოსახლეობა, კოლმეურნეები და მოსწავლეები აღფრთოვანებით ხვდებოდნენ გამოფენას.

გამოფენაზე წარმოდგენილი ექსპონატები (ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება) დიდ ინტერესს იწვევდა მნახველებში. განსაკუთრებული მოწონება ხვდა მოსე თოიძის ნამუშევარს „მეფე ერეკლე ხელს აწერს ტრაქტატს რუსეთთან საქართველოს შეერთების შესახებ“, ქ. მაღალაშვილისა და ბ. ზლიოტკინის მიერ შესრულებულ ლენინისა და სტალინის პორტრეტებს, ვ. ჩხეიძის მიერ გამოძერწილ გ. მ. მალენკოვის სკულპტურულ პორტრეტს, მ. მეტრეველის — „დილა სოფელში“, ს. მაისაშვილის — „ნატიურმორტს“, ა. ქუთათელაძის — „გიორგი საკაძე ბრძოლის წინ“, გ. მესხის — „ბელადის დედას“, ს. კირკოზოვის „ტყიბულის მაღაროელებს“. მოწონება დაიმსახურა აგრეთვე ნიჭიერი ახალგაზრდა მხატვრების რ. სტურუას, ი. ასკურავას, ს. ღამბაშიძის, ც. ზაზნიაშვილის, ა. ხელაძის ნამუშევრებმა.

გამოფენის შთაბეჭდილებათა წიგნი საკავშირო მშრომელთა ჩანაწერებით. ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ლაშის კოლმეურნეობა „ომიდის“ წევრი, სოციალისტური შრომის გმირი აბესალომ მანჯავიძე წერს: — „მე, 75 წლის მოხუცმა, პირველად ვნახე ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა, რამაც დიდი სიამოვნება მაგრძნობინა. გამოფენაზე ვნახე სურათები შრომასა და დასვენებაზე, ჩვენი ქვეყნის წარსულსა და მომავალზე. ყველა ამ სურათმა და ქანდაკებამ წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე“.

ჭიათურის მაღაროს მუშა გ. მოდებაძე წერს: „მოხარული ვარ, რომ აქ, ჩემი მუშაობის ადგილზე, გავეცანი ქართველ მხატვართა ბევრ საინტერესო ნამუშევარს“.

შთაბეჭდილებათა წიგნში მნახველებმა მრავალი კრიტიკული შენიშვნაც ჩაწერეს. ისინი მხატვრებს მიუთითებდნენ ზოგიერთ ნაკლზე, სურვილს გამოთქამდნენ, რომ ჩვენი მხატვრები უფრო ახლო გაეცნონ ცხოვრებას — კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის, ფაბრიკების, ქარხნებისა და მაღაროების მუშაობას, ადამიანებს, მათს ყოფა-ცხოვრებას.

მოძრავი გამოფენების გამართვამ უთუოდ მნიშვნელოვანი ნაყოფი გამოიღო მშრომელთა ფართო მასებთან ჩვენი მხატვრების დაახლოების საქმეში.

უნდა აღინიშნოს რაიონული პარტიული ორგანიზაციებისა და საბჭოთა ორგანოების აქტიური დახმარება, რამაც ხელი შეგიწყო გამოფენის მაღალხარისხოვნად მოწყობაში.

შ. მჟავანაძე,
მეორე მოძრავი გამოფენის ხელმძღვანელი.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციამ ინახულა ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მავზოლეუმი

1 დეკემბერს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციამ, რომელიც მონაწილეობს ევროპის ქვეყნების თათბირში ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ, ინახულა ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მავზოლეუმი და შემკო იგი გვირგვინით, რომელზეც წარწერილია: „საბჭოთა ხალხისა და პროგრესული კაცობრიობის დიდ ბელადებს ვ. ი. ლენინსა და ი. ბ. სტალინს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციისაგან“.

გვირგვინით შემკობას დაესწრნენ: დელეგაციის მეთაური — პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე იუზეფ ცირანკევიჩი, დელეგაციის წევრები: პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მარიან ნაშკოვსკი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ვაცლავ ლევიკოვსკი, აგრეთვე საელჩოს თანამშრომლები და სხვა ოფიციალური პირები.

გვირგვინით შემკობას დაესწრო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე ე. დ. კისელიოვი. (საკდესი).

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის დელეგაციამ ინახულა ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მავზოლეუმი

1 დეკემბერს ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის დელეგაციამ, რომელიც მონაწილეობს ევროპის ქვეყნების თათბირში ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ, ინახულა ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მავზოლეუმი და შეამკო იგი გვირგვინით, რომელზეც წარწერილია: „ვ. ი. ლენინს, ი. ბ. სტალინს ჩეხოსლოვაკიის მთავრობის დელეგაციისაგან“.

გვირგვინით შემკობას დაესწრნენ: დელეგაციის მეთაური — ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ვილიამ შიროკი, დელეგაციის წევრები: ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ვაცლავ დავიდი, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მშენებლობის მინისტრი ემანუილ შლეხტა, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი იოზეფ პლოიგარი, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში იარომირ ვოშაგლიკი, აგრეთვე საელჩოს თანამშრომლები და სხვა ოფიციალური პირები.

გვირგვინით შემკობას დაესწრო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე ე. დ. კისელიოვი. (საკდესი).

ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციამ ინახულა ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მავზოლეუმი

1 დეკემბერს ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციამ, რომელიც მონაწილეობს ევროპის ქვეყნების თათბირში ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ, ინახულა ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მავზოლეუმი და შეამკო იგი გვირგვინით, რომელზეც წარწერილია: „უკვდავთ ვ. ი. ლენინსა და ი. ბ. სტალინს — ხალხთა მშვიდობის, მეგობრობისა და დამოუკიდებლობის ბურჯის — საბჭოთა კავშირის ფუძემდებლებს. ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციისაგან მოსკოვის 1954 წლის 29 ნოემბრის თათბირზე“.

გვირგვინით შემკობას დაესწრნენ: დელეგაციის მეთაური — ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მანუშ მუფტიუ, დელეგაციის წევრები: ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ბეხარ შტიფელა, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში მიხალ პრიფტი, აგრეთვე საელჩოს თანამშრომლები და სხვა ოფიციალური პირები.

გვირგვინით შემკობას დაესწრო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე ე. დ. კისელიოვი. (საკდესი).

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციამ დაათვალიერა სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის წევრების ნაწარმოებთა გამოფენა

1 დეკემბერს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციამ, რომელიც მოსკოვს ჩამოვიდა, რათა მონაწილეობა მიიღოს ევროპის ქვეყნების თათბირში ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ო. გროტევოლის მეთაურობით დაათვალიერა სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის წევრების ნაწარმოებთა გამოფენა. დელეგაციას თან ახლდა სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გ. მ. პუშკინი.

სტუმრებმა დიდი ინტერესით დათვალიერეს გამოფენა. შემდეგ გაიმართა დელეგაციის წევრთა მეგობრული საუბარი გამოფენის მონაწილე მხატვართა ჯგუფთან და სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტთან ა. მ. გერასიმოვთან. (საკდესი).

გადაუდებელი საქმე

ლამაზია ლამისყანა. რაღაც დიადი, მშობლიური და ამავე დროს მუდამ ახალი გამოსჭივის კრამიტით დახურული ქვითკირის სახლებიდან, ზვიადად მდგარი ბუმბერაზი კაკლის ხეებიდან, ძველი ციხის კედლებიდან. თითქოს იგრძნობა კიდეც, თუ როგორ სუნთქავს ზამთრის ამ ოქროსფერი დილის გრილ, გამჭვირვალე ჰაერს ეს ძველისძველი, შომხიბვლელი ქართული სოფელი.

არჩილ ღუდუშაური მსუბუქად მიაბიჯებდა. ამ დილასავით ნათელ და სპეტაკ გრძნობას გაედგა ფესვი კოლმეურნეობის თავმჯდომარის გულშიც, გაედგა და ჭაბუკური სიხალისით აევსო ყოველი მისი ფიქრი, მისი მოძრაობა.

გზის გაყოლებით მესერითა და ცოცხალი ღობით შემოკავებული ეზოებიდან ქათმების კრიახი, საქონლის ზმუილი და სამუშაოზე გასასვლელი კოლმეურნეების გადაძახილი ისმოდა. ახლადგაღვიძებული სოფლის ეს საქმიანი ფუსფუსი ერთიორად მატებდა ადამიანს ძალასა და ენერგიას.

ღუდუშაურს უცებ სინდერა მოესმა. კიდეც უნიათო, ჩახლეჩილი ხმით მღეროდა „ჭრელო პეპელას“. მოსახვევში მაღალი, შავგვრემანი ახალგაზრდა გამოჩნდა, საკინძჩამოგლეჯილს პერანგი ამოსჩაჩოდა, თმა შუბლზე ჩამოშლოდა და ბარბაცით მიჰყვებოდა გზას.

არჩილმა იცნო ლევაზ ტუხიაშვილი. მოიღუშა. ეს ყაბზილი თავის რამდენიმე ავნებავანთან ერთად მთელ დღეებს ასე უქმად ატარებდა და, როგორც ლამისყანელები ამბობდნენ, ცა ქუდად არ მიჩნდა, დედამიწა ქალამნად.

ტუხიაშვილმაც შენიშნა კოლმეურნეობის თავმჯდომარე, გზის აქცევა სცადა, მაგრამ უკვე გვიან იყო.

— გამარჯობა შენი! — მოესმა მას ღუდუშაურის მშვიდი, დამცინავი ხმა. ტუხიაშვილს თვალები განზე გაექცა. უგემურად ჩაიხიხინა:

— გაგიმარჯოს.

— დროს ატარებ, ჰა? სად ბოასწარი ამ უთენიას ასე „გადაკვრა“, ბიჭო? — თავმჯდომარის ხმაში საყვედური, წყენა და სიბრალულის გრძნობაც კი გამოკრთოდა.

ტუხიაშვილმა იგრძნო, როგორ გაეწურა გული მის სიტყვებზე, და, თავისი შეშფოთება რომ დაეფარა, გაბრაზება სცადა:

— რა გინდა? ვისი რა საქმეა, დროს ვატარებ თუ არა. როგორც მსურს, ისე ბოვიქცევი!

მერე ხელი მოწყვეტით ჩაიქნია და წაილუღლუღა:

— ჩემს თავს ნე თვითონ მოვუვლო.

ღუდუშაური დაფიქრებული გაჰყურებდა ბარბაცით მიმავალ ტუხიაშვილს და გული უსიამოვნოდ ეკუმშებოდა — ხომ შეეძლო ამ ყმაწვილს სხვაზე არანაკლებ ღირსეული და სანაქებო ადამიანი გამოსულიყო?

კანტორაში მისვლისას კოლმეურნეობის თავმჯდომარე ფანჯარასთან გაჩერდა და ერთხანს ფიქრს მიეცა.

კანტორა ძველ შენობაშია მოთავსებული. აქედან მთელი სიგრძე-სიგანით მოჩანს ქსნის თვალწარმტაცი ხეობა. ოდესღაც სწორედ ამ ხეობით იჭრებოდნენ ქართლის გულში მტრის ურდოები, აქ, ამ ლამაზ მთებს შორის, იღვრებოდა მტერს შეჯახებული ქართველის სისხლი, აქ, ამ მომაჯადოებელ მიწაზე, ათრთოლდა პირველად დიდი მგოსნის დავით გურამიშვილის მგზნებარე გული.

„სადაც უხმობენ სახელად
ქსნის ხევზე, ლამის-ყანასა,
მუნ მოყვრის მუშას თავს ვადექ,
მკას უპირებდით ყანასა“.

მეხსიერებაში მძივივით აწყობილმა ამ სტრიქონებმა რატომღაც კვლავ რევაზ ტუხიაშვილის ჩამოგლეჯილი საკინძე და არეული ნაბიჯი მოაგონა ღუდუშაურს. მწარედ გაეღიმა. ან და როგორ არ გეტკინება კაცს გული, როცა ჯანღონით სავსე ახალგაზრდა ასე უმიზნოდ ატარებს დროს. სამწუხაროდ, ამ სოფელში მარტო ტუხიაშვილი როდია ასეთი. ლამისყანას მის გარდა კიდევ რამდენიმე მუქთახორა ჰყავს. აი თუნდაც დავით ფაგლენიშვილი. ნისი ცოლი ექთანია, თვითონ კი სიმულანტობს, კოლმეურნეობაში მუშაობას თაკილობს. ანდა ალექსანდრე წითლაური. ერთ დროს ფიზკულტურის მასწავლებლად მუშაობდა აქ, მერე კი გაუტკბა უქმად ყოფნა: „მცოდნე კაცი ვარ, და კოლმეურნეობაში მუშაობა ჩემი საქმე არ არისო!“. მთელ დროს უსაქმურობაში ჰკლავდა მასავით უქნარა ვალიკო პავლიაშვილთან ერთად და მინდორ-ვენახში მომუშავე თანასოფლელებს ალმაცერად გასცქეროდა შორიდან.

ზოგჯერ მართლაც გაოცდები კაცი, ნუთუ ამ ადამიანებს გული არ უკარნახებს, თუ რაოდენ მშვენიერია შრომითა და ბრძოლით სავსე ცხოვრება, რამდენი რამ არის გასაკეთებელი, ასაშენებელი, შესაქმნელი ამ ქვეყნად, თუნდაც მათ მშობლიურ სოფელში? ნუთუ გული არ ერჩით დაიკაპიწონ სახელოები და მთელი გატაცებით ჩაეკიდნენ თანასოფლელთა ამ დიდსა და სასახელო საქმიანობაში?

ღუდუშაურმა პაპიროსს მოუკიდა. გაახსენდა კოლმეურნეობაში თავისი მუშაობის პირველი დღეები.

დიდი ხანი არ არის, რაც იგი, ყოფილი ფრონტელი, უმაღლესი განათლების მქონე მასწავლებელი, რომელიც უკანასკნელი ორი წლის ნაძიძლზე სამთავისის მტს-ის პარტიიროს მდივნად მუშაობდა, სოფელ ლამისყანის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს.

ჩამორჩენილი მეურნეობა მიიღო მემკვიდრეობად ძველი თავმჯდომარისაგან ღუდუშაურმა. კოლმეურნეობაში უკანასკნელ ხანებში შრომადღეზე მარცვლეულს ცოტას ანაწილებდნენ. მარშან მარტო 60 ჰექტარი საშემოდგომო ხორბლის ნათესი მოუვლელობის გამო ბალახად აიღეს. თესავდნენ უხარისხოდ, თესვის ნორმების დარღვევით და სამკალსაც ვერაფერი პირი უჩანდა. პირუტყვის საკვებიც მუდამ აკლდებოდათ. მარტო მარშან 7 ათასი მანეთის ნამაჯა შეისყიდეს. ეს კი მძიმე ტვირთად დაწვა კოლმეურნეობას. იყო მეფრინველეობის ფერმა, მაგრამ ქათმებს ვერ მოუარეს. ერთი სიტყვით, ადამიანები ვერ ხედავდნენ თავიანთი შრომის ნაყოფს, ეცემოდა შრომის დისციპლინა. საქმე იქამდე მივიდა, რომ შარშან კოლმეურნეობის წევრების დიდ უმრავლესობას შრომადღეების მინიმუმიც კი არ ჰქონდა გამოანუშავებული.

ასე რომ თითქმის ყველაფერი თავიდან უნდა დაეწყო. ჯერ მთავარი იყო საიმედო, საქმისათვის თავდადებული ადამიანების შემოკრება. კოლმეურნეობას ჰყავდა ასეთი ხალხი: აგრონომი გიორგი შამანაური, ტრაქტორისტები გიორგი მაჭარაშვილი და რევაზ დავითური, მოწინავე მერგოლურები დიმიტრი ბენაშვილი, ილია მაჭარაშვილი და მრავალი სხვა. ისინი ეხარში ამოუდგნენ თავმჯდომარეს. დაიწყო დიდი, ძნელი, მაგრამ სასახელო მუშაობა. თავი და თავი იყო თესვის დროზე და ხარისხიანად დამთავრება. ლამისყანის კოლმეურნეობამ შემოდგომის ხორბლის თესვა დროზე დაამთავრა და ნახევარზე მეტი პროგრესული წესით — ჯვარედინად და ვიწრო მწკრივებად დათესა. პირუტყვისათვის მთელი წლის სამყოფი საკვებიც მოიმარაგეს, ააგეს ახალი ტიპური საქათმე. ახლა მეფრინველეობის ფერმაში 600-ზე მეტი ქათამი ჰყავთ. მართალია, ბოსლის აშენება ვეღარ მოასწრეს, მაგრამ მასალა უკვე შეძენილია და მომავალ წელს პირუტყვისათვის საუცხოო ბინას გამართავენ...

ღუდუშაურმა საკუთარ ფიქრებს გაუღიმა...

როგორ დაინტერესდნენ თანდათან ამ მუშაობით ადამიანები! დაუჯერეს ხელმძღვანელს, მხარდამხარ მიჰყვნენ მას საქმეში. თუმცა იმ კოლმეურნეების ნაწილი, რომლებსაც შარშან შრომადღეების მინიმუმიც არ ჰქონდათ გამომუშავებული, ჯერ კიდევ მისჩანჩალებენ კუდში სოფლის საქმიანობას, მაგრამ ალბათ მალე ისინიც დაინახავენ, რის მოცემა შეუძლია ერთგულ და თავდადებულ შრომას კოლმეურნეობაში.

ეს რამდენიმე უქნარა ახალგაზრდაც აყოლილია მათი ფეხის ხმას, დროს და ძალას ისე ფლანგავენ, როგორც მეპრიანებათ. მით უმეტეს, რომ არც პარტიული და არც კომკავშირული ორგანიზაციები სათანადო მუშაობას არ ეწევიან მათთან. არა, უკვე დროა ამ სოფლის უქნარების გამოსწორებაზე ვიფიქროთ...

ღუდუშაური გამოერკვა. მან უცებ თვალი მოჰკრა ეზოში შემოსულ გიორგი გიგაურს, კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანს, რომელიც რაღაცაზე ხმამაღლა ელაპარაკებოდა კოლმეურნეებს. „ურმებზე დაუდეთ... საწყობში... ფუჩეჩის კონებს...“, — ნაწყვეტ-ნაწყვეტ სწვდებოდა კოლმეურნეობის თავმჯდომარის სმენას გიგაურის ხმა.

ღუდუშაურმა უკმაყოფილოდ შეიკრა წარბი.

ამ წუთს მან განსაკუთრებით ნათლად იგრძნო პარტორგანიზაციისა და მისი მდივნის გულგრილი დამოკიდებულება იმ საჭირბოროტო საკითხისადმი, რომელიც მას ახლა ასე აწუხებდა. გიგაური გადაყოლილი იყო სამეურნეო საქმეებს და, როგორც ჩანს, აინუნშიც არ მოსდიოდა ლამისყანელი ახალგაზრდების ცხოვრება. მისი ნახვა ყველგან შეიძლებოდა: მინდორში, გულდასმით რომ ზომავდა ხნულის სიღრმეს, ვენახში, დაკვირვებით რომ აწოწმებდა ვაზის მსხმოიარობას, მაგრამ თანასოფლელების ჭირვარამით და ყოფაცხოვრებით დაინტერესებულს კი იშვიათად ნახავდა კაცი.

„ლამის კოლმეურნეობის მეორე ბუხალტრად იქცეს ეს დალოცვილი“, — წყენით გაივლო გულში ღუდუშაურმა. მერე კი საკუთარ თავსაც უსაყვედურა, „არც ჩვენ, სხვა კომუნისტები ვიჩენთ მაინცდამაინც დიდ ინტერესს სხვა საკითხებისადმიო“.

იგი ისევ ფანჯარასთან იდგა, როცა გიორგი ოთახში შემოვიდა.

— ოცნებაში წასულხარ, არჩილ, რაზე ფიქრობ? — დაინტერესდა გიგაური.

— ჩვენს ხვალინდელ დღეზე, გიორგი, ხვალინდელ სიძნელეებზე. ჯერ ხომ ბევრი რამ დაგვრჩა გასაკეთებელი.

— ბევრი დაგვრჩა, — დაეთანხმა თავმჯდომარეს გიგაური, — თუნდაც ის, რომ კლუბი არა გვაქვს, ამ ბოსლის აგებასაც თავი ვერ მოვაბით.

— მართალია, გიორგი. — თქვა ღუდუშაურმა, — ბევრი რამ არა გვაქვს, მაგრამ თავის დროზე ყველაფერი გვექნება. მხოლოდ, აი, წელი ბოვიმაგროთ ცოტა. თუმცა მარტო ეს ვერ უშველის საქმეს, თუ პარტიული და კომკავშირული მუშაობა არ არის კოლმეურნეობაში კარგად დაყენებული, — ღუდუშაურმა თვალებში შეხედა პარტორგანიზაციის მდივანს და დასძინა: — მოდი პირდაპირ ვთქვათ, გიორგი, პარტორგანიზაცია თითქმის არავითარ მუშაობას არ ეწევა ახალგაზრდებში, იმ კოლმეურნეებში, რომლებიც დღემდე არღვევენ შრომის დისციპლინას ან თავს არიდებენ მუშაობას. წეღან გზაში ტუხიაშვილების ბიჭს რევაზს შევხვდი, სადღაც მოესწრო „გადაკვრა“, ახლა ის საღამომდე მხართეძოზე იქნება წამოწოლილი, მაშინ როცა მისი დედამამა წელზე ფეხს იდგამს. აი ასეთ ადამიანთა აღზრდაზე უნდა ვიმუშაოთ ახლა, ჩვენ ვეღარ მოვითმენთ, რომ გვყავდნენ მუქთახორები და ზარმაცები. ჩვენ, კომუნისტები კი, იმის მაგივრად, რომ ამ საქმესაც მივხედოთ, მეტწილად მხოლოდ სამეურნეო საკითხებით ვართ გატაცებული.

გიგაურმა ამოიოხრა.

— მართალი ხარ, არჩილ, ჩვენ ეს ამბავი ნართლაც გამოგვრჩა მხედველობიდან. ხვალვე მოვიწვევ პარტბიუროს სხდომას, უეჭველად უნდა შევუდგეთ ამ საკითხის განხილვას.

— კარგი იქნება, — თქვა ღუდუშაურმა, — აი დავავალოთ ილია მაჭარაშვილს ბრიგადებში საუბრების გამართვა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მიღებული შთაბეჭდილებების შესახებ. ის ხომ ექსკურსიაზე იყო მოსკოვში, გავაძლიეროთ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, მოვიწვიოთ პარტიის ღია კრება, დავასწროთ ისინიც, რომლებიც თავს არიდებენ მუშაობას, გამოვუშვათ კედლის გაზეთის სპეციალური ნომერი, ერთი სიტყვით ხვალ ბიუროს სხდომამდე მოვამზადოთ საკითხები, მოვისაზროთ ზოგიერთი რამ.

ღუდუშაური კვლავ ფანჯრისაკენ მიბრუნდა და წელანდელი განაფიქრი ახლა ხმამაღლა, მაგრამ დამშვიდებული რუმენით წარმოთქვა:

— დროა მივაღწიოთ იმას, რომ სოფელში არც ერთი უქნარა არ გვყავდეს!

ა. კუსრაშვილი,
მ. ხეთაგური.

ჩინეთის სახელმწიფო მეურნეობანი ყამირს ამუშავებენ

პეკინი, 2 დეკემბერი. (საკდესი). სულ უფრო მეტი უახლესი სასოფლო-სამეურნეო მანქანა მუშაობს სახელმწიფო მეურნეობების მინდვრებში. ასეთი მანქანების რიცხვი ჩინეთში 1954 წლის სექტემბერში 110-მდე გადიდდა. ახალი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დახმარებით სახელმწიფო მეურნეობანი ამუშავებენ წინათ ცარიელი ყამირი და ნასვენი მიწების მასივებს.

როგორც გაზეთი „ჟენმინჟიბაო“ იუწყება, მარტო ხეილუნძიანის პროვინციის 18 მექანიზებულმა სახელმწიფო მეურნეობამ წელს აითვისა 160 ათასზე მეტი მუ (1 მუ უდრის 0,06 ჰექტარს) ყამირი და ნასვენი მიწა.

ჩინეთის სახელმწიფო მეურნეობანი ახლა ამუშავებენ 140 ათას ჰექტარ სახნავ-სათეს მიწას. პირველი ხუთწლედის დამლევისათვის — 1957 წელს სახელმწიფო მეურნეობების ნათესი ფართობები 800 ათას ჰექტარამდე გადიდდება.

სსრ კავშირის ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის საბოლოო კონცერტი პეკინში

პეკინი, 3 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ პეკინის თეატრ ტიან ციაოში გაიმართა სსრ კავშირის ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის საბოლოო კონცერტი; სახელმწიფო ანსამბლი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში სტუმრად არის ორი თვის განმავლობაში. კონცერტის დაწყების წინ ანსამბლის კოლექტივს მიესალმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კულტურის მინისტრის მოადგილე ჯან ჯი-სიანი. მან აღნიშნა ანსამბლის მსახიობთა მაღალი ოსტატობა და მადლობა გადაუხადა დახმარებისათვის, რაც ანსამბლის მსახიობებმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ქორეოგრაფიულ კოლექტივებს გაუწიეს. ჯან ჯი-სიანმა სურვილი გამოთქვა, რომ შემდგომ განმტკიცდეს ჩინელი და საბჭოთა ხალხების კულტურული ურთიერთობა და მეგობრობა.

საბჭოთა მსახიობების საბოლოო კონცერტს დიდი წარმატება ჰქონდა.

სლოვაკიის ეროვნული საბჭოს არჩევნების შედეგები

პრაღა, 2 დეკემბერი. (საკდესი). სლოვაკიის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გუშინ გამოაქვეყნა სლოვაკიის ეროვნული საბჭოს 28 ნოემბრის არჩევნების საბოლოო შედეგები.

სულ სლოვაკიაში რეგისტრირებული იყო 2.344.500 ამომრჩეველი. კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 2.324.279 კაცმა, ანუ 99,14 პროცენტმა. საარჩევნო ყუთების გახსნისას აღმოჩნდა 2.312.658 კანონიერი ბიულეტენი (99.5 პროცენტი) და 11.621 არანამდვილი (0,5 პროცენტი).

ეროვნული ფრონტის კანდიდატებს ხმა მისცა 2.249.547 ამომრჩეველმა, რაც შეადგენს 97,27 პროცენტს. ეროვნული ფრონტის კანდიდატების წინააღმდეგ ხმა მისცა 63.111 კაცმა, ანუ 2,73 პროცენტმა.

103 საარჩევნო ოლქში, სადაც მიმდინარეობდა არჩევნები, სლოვაკიის ეროვნული საბჭოს დეპუტატებად არჩეული არიან ეროვნული ფრონტის კანდიდატები.

ბრატისლავის მესამე საარჩევნო ოლქში სლოვაკიის ეროვნული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის დაგვიანებით რეგისტრაციის გამო არჩევნები არ მომხდარა და დანიშნულია 19 დეკემბერს.

ინგლისის თემთა პალატაში

ჩერჩილის გადადგომის მოთხოვნა

ლონდონი, 2 დეკემბერი. (საკდესი). დღეს პარლამენტის წევრმა ლეიბორისტმა სტივენ დევისმა, რომელიც ლეიბორისტული პარტიის საპარლამენტო ფრაქციიდან გარიცხეს იმისათვის, რომ ხმა მისცა გერმანიის შეიარაღების წინააღმდეგ, პარლამენტში შეიტანა რეზოლუცია, რომელშიც მოითხოვს ჩერჩილის დაუყოვნებლივ გადადგომას პრემიერ-მინისტრის პოსტიდან.

რეზოლუციაში, რომელიც დევისმა შეიტანა, ნათქვამია: „წარმომადგენელთა პალატა დიდ ზიზღსა და აღშფოთებას გამოთქვამს პრემიერ-მინისტრის აღიარების გამო იმის შესახებ, რომ იმ პერიოდში, როცა სათანადო მოქმედება ჯერ კიდევ გრძელდებოდა და ნაცისტები ხოცავდნენ ინგლისელ ჯარისკაცებს და ბომბავდნენ ჩვენი ქვეყნის ქალაქებს, მან წინადადება მისცა ფელდმარშალ მონტგომერის შეენახა მთელი გერმანული არაღი, რომელსაც შეკავშირეებს აბარებდნენ გერმანიის შეიარაღებული ძალების დამარცხებასთან დაკავშირებით, რათა შესაძლებელი ყოფილიყო მათი ხელახლა შეიარაღება და მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების მხარდამხარ გამოყენება საბჭოთა არმიების წინსვლისათვის წინააღმდეგობის გასაწევად, რომლებიც ისწრაფოდნენ მოესპოთ ნაციზმი ევროპაში.

წარმომადგენელთა პალატა რწმენას გამოთქვამს, რომ პრემიერ-მინისტრის მზადყოფნა ინგლისის მთელი რესურსები, როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო, დიუყენებინა ნაცისტური შეიარაღებული ძალების ნაშთების გვერდით, რომლებმაც კაცობრიობის ისტორიაში უმაგალითო მხეცობა ჩაიდინეს, წარმოადგენდა იმ იდეალების ღალატს, რომლებისთვისაც იბრძოდა ჩვენი ქვეყანა, და გასაგებს ხდის, თუ რატომ იყო რომ საბჭოთა კავშირი და აღმოსავლეთ ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნები ნდობით არ ეკიდებოდნენ იმ წინადადებათა გულწრფელობას, რომლებიც ინგლისის მთავრობას შეჰქონდა მთელი მსოფლიოს მშვიდობის უზრუნველყოფის გადაუდებელ საკითხზე

ამიტომ წარმომადგენელთა პალატა მოითხოვს პრემიერ-მინისტრის დაუყოვნებლივ გადადგომას“.

დევისის წინადადება მოთავსებულია პარლამენტის 2 დეკემბრის დოკუმენტებში, მაგრამ გადაწყვეტა საკითხისა, განხილულ იქნება იგი თუ არა, დამოკიდებულია პარლამენტის ორი მთავარი პარტიის ლიდერებზე.

ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა იუგოსლავიაში

ბელგრადი, 3 დეკემბერი. (საკდესი). გაზეთი „ბორბა“ იუწყება, რომ ამ დღეებში ჰიდროელექტროსადგურ „იაბლანიცის“ ექვსი აგრეგატიდან ამუშავდა პირველი აგრეგატი. დღეღამეში აგრეგატი გამოიმუშავებს 576 ათას კილოვატსაათ ელექტროენერგიას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეცხრე სესია

პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 2 დეკემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). გუშინ დილის სხდომამ განიხილა სსრ კავშირის დელეგაციის წინადადება იმის შესახებ, რომ მოწვეულ იქნან კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლები, რათა მონაწილეობა მიიღონ კორეის საკითხის განხილვაში.

ამერიკის შეერთებული შტატების, ტაილანდისა და ინგლისის წარმომადგენლებმა გაილაშქრეს საბჭოთა დელეგაციის წინადადების წინააღმდეგ.

პოლონეთის დელეგაციის მეთაურმა ს. სკშევსკიმ განაცხადა, რომ კორეის პრობლემა შეიცავს მთელ რიგ საკითხებს — კორეის გაერთიანებას, ერთიანი მთავრობის შექმნას, საერთო არჩევნებს და სხვ. — რომლებიც შეეხება კორეის ორივე ნაწილს და რომლებიც არ შეიძლება წარმატებით გადაიჭრას ან თუნდაც განხილულ იქნეს, თუ მონაწილეობას არ მიიღებენ ყველაზე დაინტერესებული მხარეები.

ი. ა. მალიკმა თავის სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ თუ მონაწილეობა არ მიიღეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლებმა, კორეის საკითხის განხილვა ისევ ცალმხრივი იქნება, როგორიც იყო იგი აქამდე, და ამიტომ არ მოიტანს არავითარ დადებით შედეგს.

როგორც ინდოეთის წარმომადგენელმა კრიშნა მენონმა განაცხადა, მის დელეგაციას საკმაოდ მიაჩნია, რომ პოლიტიკურმა კომიტეტმა მიიწვიოს და მოუსმინოს როგორც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და ჩრდილოეთ კორეის, ისევე სამხრეთ კორეის წარმომადგენლებს.

საბჭოთა რეზოლუციას მხარი დაუჭირეს უკრაინის სსრ და ბელორუსიის სსრ დელეგაციათა მეთაურებმა ლ. თ. პალამარჩუკმა და კ. ვ. კისელიოვმა.

ფილიპინებისა და თურქეთის წარმომადგენლებმა გაალაშქრეს იმის წინააღმდეგ, რომ მიიწვიონ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლები. სირიის დელეგატმა მხარი დაუჭირა მხოლოდ ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის წარმომადგენელთა მიწვევას და შეიტანა რეზოლუციის შესაბამისი პროექტი. მას მხარი დაუჭირა საუდის არაბეთის დელეგატმა.

ნიუ-იორკი, 2 დეკემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). გუშინ პოლიტიკური კომიტეტის დღის სხდომაზე, გრძელდებოდა განხილვა წარმოდგენილი რეზოლუციების პროექტებისა კორეის საკითხის განხილვაში მონაწილეობისათვის კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სამხრეთ კორეის წარმომადგენელთა მოწვევის შესახებ.

იუგოსლავიის წარმომადგენელმა ბრილემ განაცხადა, რომ მისი დელეგაცია ხმას მისცემს საბჭოთა რეზოლუციას ინდოეთის შესწორებით.

ინდოეთის დელეგატმა მენონმა კვლავ განაცხადა, რომ კორეის საკითხი უნდა გადაწყდეს ყველა მხარის, მათ შორის სამხრეთ კორეის მონაწილეობით. ინდოეთის დელეგაცია, თქვა მან, მხარს დაუჭერს საბჭოთა რეზოლუციის პროექტს, შესწორებულს ინდოეთის შესწორების შესაბამისად.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა ი. ა. მალიკმა განაცხადა, რომ საბჭოთა დელეგაცია იღებს ინდოეთის შესწორებას.

მიუხედავად სსრ კავშირის დელეგაციის სამართლიანი შენიშვნისა, რომ საბჭოთა რეზოლუციის პროექტს პირველს უნდა ეყაროს კენჭი, რამდენადაც იგი შემოტანილია მანამდე, სანამ ტაილანდის დელეგაცია წარმოადგენდა თავის პროექტს, უმრავლესობამ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მეთაურობით ხმა მისცა იმას, რომ პირველ რიგში კენჭი ეყაროს ტაილანდის რეზოლუციის პროექტს.

ხმის უმრავლესობით მიღებულ იქნა ტაილანდის რეზოლუციის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს მხოლოდ სამხრეთ კორეის წარმომადგენელთა მოწვევას. მის წინააღმდეგ ხმა მისცეს სსრ კავშირის, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის დელეგაციებმა. 10 ქვეყნის, მათ შორის ინდოეთის, ინდონეზიის, ბირმისა და იუგოსლავიის დელეგაციებმა თავი შეიკავეს.

საბჭოთა რეზოლუციის პროექტს ხმა მისცეს სსრ კავშირის, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის, ინდოეთის, ინდონეზიისა და ბირმის დელეგაციებმა. 10 ქვეყნის დელეგაციებმა კენჭისყრაში თავი შეიკავეს.

კენჭისყრის შემდეგ დაიწყო საერთო დისკუსია კორეის საკითხზე. პირველი გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი უოდსვორტი, რომელიც შეეცადა დაემტკიცებინა, თითქოს ერთადერთი მისაღები საფუძველი კორეის საკითხის მოწესრიგებისათვის არის წინადადებები, რომლებიც ლისინმანური რეჟიმის წარმომადგენელმა შეიტანა ჟენევის თათბირზე. ამავე დროს იგი ამტკიცებდა, რომ ვითარება ხელს არ უწყობს მოლაპარაკებას კორეის შესახებ.

შემდეგ სიტყვა აიღო სსრ კავშირის წარმომადგენელმა ი. ა. მალიკმა, რომელმაც საფუძვლიანად ჩამოაყალიბა სსრ საბჭოთა კავშირის პოზიცია კორეის საკითხში.

დასასრულ მან შეიტანა რეზოლუციის ორი პროექტი. პირველი ითვალისწინებს ეგრეთწოდებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კორეის გაერთიანებისა და აღდგენის კომისიის გაუქმებას.

რეზოლუციის მეორე პროექტში ნათქვამია: „გენერალური ასამბლეა, რომელსაც უაღრესად საჭიროდ მიაჩნია კორეის საკითხის რაც შეიძლება მალე გადაჭრა კორეის ეროვნული გაერთიანებისა და მშვიდობის უზრუნველყოფის ინტერესებისათვის, მიზანშეწონილად ცნობს, რომ შესაბამისმა სახელმწიფოებმა განაგრძონ მეცადინეობა, რათა მიაღწიონ შეთანხმებას კორეის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგების შესახებ ერთიანი, დამოუკიდებელი და დემოკრატიული კორეის სახელმწიფოს შექმნის საფუძველზე და ამ მიზნით უახლოეს დროში მოიწვიონ დაინტერესებულ სახელმწიფოთა თათბირი“.

გაიხსნა ინგლისის პარლამენტის სესია

ლონდონი, 2 დეკემბერი. (საკდესი). გაიხსნა ინგლისის პარლამენტის მეოთხე სესია. პარლამენტის ორივე პალატის გაერთიანებულ სხდომაზე წაკითხულ იქნა დედოფლის ტრადიციული სეფე-სიტყვა, რომელშიც ჩამოყალიბებულია მთავრობის პროგრამა პარლამენტის მომავალი სესიის პერიოდისათვის.

როგორც პრეს ასოშიეიშნის სააგენტოს ცნობიდან ჩანს, სეფე-სიტყვის იმ ნაწილში, რომელიც ეხება საგარეო პოლიტიკის საკითხებს, აღნიშნულია, რომ ინგლისის მთავრობა წინანდებურად აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირში და ეცდება „რაც შეიძლება მალე განახორციელოს“ ლონდონისა და პარიზის შეთანხმებანი, რომლებიც ითვალისწინებენ დასავლეთ გერმანიის შეიარაღებას.

კამათში გამოვიდა ოპოზიციის ლიდერი ეტლი, რომელმაც სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ პროგრამაში საკმაო ყურადღება არ ექცევა შეიარაღების ტვირთის საკითხს. „ეს ტვირთი მეტად მძიმედ აწევს ინგლისს, — თქვა ეტლიმ, — თუმცაღა, ისევე როგორც მსოფლიოს ყველა ქვეყანას. და მე მსურს გავიგონო რაიმე იმის შესახებ, რომ ჩვენი მთავრობა ინიციატივას გამოიჩენს ამ საკითხში“. ეტლიმ განაცხადა, რომ მთავრობა საკმაოდ მტკიცედ არ მოქმედებს საბჭოთა კავშირთან შეთანხმების მისაღწევად.

ეტლის შემდეგ კამათში გამოვიდა საგარეო საქმეთა მინისტრი იდენი, რომელიც შეედავა ეტლის ამ განცხადებას. მაგრამ მან განაცხადა, რომ თათბირი საბჭოთა კავშირის მონაწილეობით შეიძლება გაიმართოს მხოლოდ ლონდონისა და პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის შემდეგ.

ლეიბორისტმა ჰაღსონმა იდენს მოუწოდა უარი თქვას იმ დაჟინებულ მოთხოვნაზე, რომ დამტკიცდეს ლონდონისა და პარიზის შეთანხმებანი სსრ კავშირთან მოლაპარაკების დაწყებამდე.

ყოფილმა ვაჭრობის მინისტრმა ლეიბორისტულ მთავრობაში ჰაროლდ ვილსონმა გაუცხადა, რომ ლეგიერი არ არის გაგრძელდეს ჩინეთთან ვაჭრობის ბოიკოტი. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ, მიუხედავად კორეისა და ინდოჩინეთის ომების შეწყვეტისა, ემბარგო ჯერ კიდევ გრძელდება. ვილსონმა აღნიშნა შეერთებული შტატების ზეგავლენა ამ საკითხში და განაცხადა: „მაგრამ მთავრობამ აგრეთვე კარგად იცის რომ ეს ემბარგო ეკონომიური ზარალს აყენებს ინგლისს და მის საგარეო ვაჭრობას“.

ლეიბორისტულმა ოპოზიციამ წინადადება წამოაყენა შეტანილ იქნას შესწორება დედოფლის სეფე-სიტყვაზე თემთა პალატის სამსახურო ადრესში. ოპოზიცია უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ მთავრობას არ ჰყოფნის „იმის შეგნება, რომ გადაუდებელია“ გამოონახოს ატომური და წყალბადის ბომბების საფრთხისაგან კაცობრიობის ხსნის მეთოდები, და აღნიშნავს, რომ თემთა პალატამ ამა წლის აპრილში ერთსულოვნად მიიღო რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს მოიწყოს დიდი სახელმწიფოების მოლაპარაკება ატომგულის იარაღის შესახებ. შესწორებას თემთა პალატა განიხილავს 6 დეკემბერს.

რეიტერის სააგენტო დღეს იუწყება, რომ ეს შესწორება იგივეა, რაც წინადადება, რომ უნდობლობა გამოეცხადოს მთავრობას: თუ ეს შესწორება მიიღეს, მთავრობა იძულებული იქნება გადადგეს.

პარლამენტის შვიდი ლეიბორისტი წევრიდან, რომლებიც ამას წინათ გარიცხეს ლეიბორისტული პარტიის საპარლამენტო ფრაქციიდან გერმანიის ხელახლა შეიარაღების წინააღმდეგ ხმის მიცემის გამო, სამმა დღეს აგრეთვე შეიტანა შესწორება სიპასუხო ადრესისათვის. შესწორებაში ნათქვამია, რომ იმ დროს, როცა ყველა ქვეყანას თავს აბეზეზენ შეიარაღების მძიმე ტვირთს, ხოლო ცივილიზაციის მომავალს წყალბადის ზომბი ემუქრება, მთავრობამ არ დასახა სათანადო წინადადებანი მშვიდობის განმტკიცებისათვის.

დასავლეთ ბერლინის ხელისუფლებმა უარყვეს დიდი ბერლინის მაგისტრატის წინადადება

ბერლინი, 3 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ადნ-ის სააგენტო იუწყება, დასავლეთ ბერლინის დეპუტატთა საქალაქო კრების თავმჯდომარემ ო. ხურმა უარყო დიდი ბერლინის მაგისტრატის წინადადება იმის შესახებ, რომ ორმა საკანონმდებლო ორგანომ (დიდი ბერლინის სახალხო წარმომადგენლობა და დასავლეთ ბერლინის დეპუტატთა საქალაქო კრება) ერთობლივად განიხილოს გერმანული ხალხისათვის სასიცოცხლოდ დიდმნიშვნელოვანი საკითხები, აგრეთვე მთელი ბერლინის ცხოვრების ნორმალიზაციასთან დაკავშირებული საკითხები.

ეს წინადადებანი ხურმა უარყო „რეალურ შესაძლებლობათა“ უქონლობის საბაბით. მისი უარი მოწმობს იმას, რომ დასავლეთ ბერლინის ხელისუფალთ არა სურთ მიღწეულ იქნას ბერლინის ორივე ნაწილის გერმანელთა შორის ურთერთგაგება ხალხის ცხოვრების ნორმალიზაციის მიზნით. იგი მოწმობს აგრეთვე იმას, რომ დასავლეთ ბერლინის სენატი არ აპირებს უარი თქვას გათიშვის დატოვებისა და საომარი მზადების ანტიეროვნულ პოლიტიკაზე.

ერაყის მთავრობა აპირებს ინგლის-ერაყის 1930 წლის ხელშეკრულების დენონსაციას

ბეირუთი, 2 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ლიბანის პრესა (და რადიო იუწყებიან, გუშინ ერაყის მეფემ ფეისალმა, გახსნა რა პარლამენტის სესია, განაცხადა, რომ ერაყი აპირებს ინგლის-ერაყის 1930 წლის ხელშეკრულების დენონსაციას, ხელშეკრულების მოქმედების ვადა გადის 1956 წლის იანვარში. ფეისალმა აღნიშნა: ერაყს სურს, რომ მისი ურთიერთობა დიდ ბრიტანეთთან ემყარებოდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებს.

ფინეთის სეიმმა მოიწონა საერაჭრო შეთანხმება ფინეთსა და სსრ კავშირს შორის

ჰელსინკი, 1 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ ფინეთის სეიმმა მესამე წაკითხვით ერთსულოვნად მოიწონა მთავრობის წინადადება 1956-1960 წლებში საქონლის მიწოდების თაობაზე საბჭოთა კავშირსა და ფინეთს შორის შეთანხმების დამტკიცების შესახებ.

ბრაზილიისა და პოლონეთის საერაჭრო შეთანხმება

მონტევიდეო, 3 დეკემბერი. (საკდესი). ბრაზილიის გაზეთები იუწყებიან, რომ რიო-დე-ჟანეიროში ხელი მოაწერეს საერაჭრო შეთანხმებას ბრაზილიასა და პოლონეთს შორის 1 წლის ვადით. ბრაზილია პოლონეთს მიაწვდის რკინის მადანს, კაკაოს და ტყავის ნედლეულს ნავთობისა და ქვანახშირის ამოსაღები მოწყობილობის სანაცვლოდ, საგაზეთო ქაღალდს, ქვანახშირს, სასოფლო-სამეურნეო მანქანებსა და სხვა საქონელს.

ღიბანის პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების კომიტეტის მოწოდება

ბეირუთი, 2 დეკემბერი. (საკდესი). გამოვიდა რა პრეს-კონფერენციაზე, ლიბანის პარლამენტის დეპუტატმა ქამალ ჯუმბლატმა ლიბანის პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების კომიტეტის სახელით გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ ლიბანი და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნები განიცდიან, შესაძლოა, ყველაზე საშიშ ეტაპს, რაც აიხსნება დასავლეთის სახელმწიფოთა მოქმედებით, რომლებიც ყოველნაირად ცდილობენ აღმოსავლეთის ქვეყნები თავიანთ ორბიტაში მოაქციონ — ან „ერთობლივი თავდაცვის“ გეგმების საშუალებით, ან თურქეთ-პაკისტანის პაქტის საშუალებით, — რათა ომი მოამზადონ და არა მშვიდობა განამტკიცონ მშვიდობიანი თანაარსებობის და უთანხმოებათა მოლაპარაკების გზით გადაჭრის საფუძველზე.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ კომიტეტი სავსებით უჭერს მხარს ჩრდილოეთ აფრიკის ხალხთა გმირულ ბრძოლას მათი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის და მკაცრად გმობს ტერორის პოლიტიკას ირანში. ლიბანის პოლიტიკური პარტიები და ორგანიზაციები, ხაზგასმით აღნიშნულია განცხადებაში, მოუწოდებენ ლიბანელ ხალხს იბრძოლოს ყველა იმპერიალისტური გეგმის წინააღმდეგ, რომლის მიზანია ომის მომზადება.

ღიბიის მთავრობა მოითხოვს საფრანგეთის ჯარების გაყვანას ღიბიის ფეზიდან

ლონდონი, 3 დეკემბერი. (საკდესი). რეიტერის სააგენტოს კაიროელი კორესპონდენტის ცნობით, ლიბიის მთავრობამ მოსთხოვა საფრანგეთის მთავრობას 31 დეკემბრამდე გაიყვანოს საფრანგეთის ჯარები, რომლებიც ფეზანის (ლიბია) პროვინციაში იმყოფებიან.

როგორც ცნობილია, საფრანგეთის ჯარებმა ამ პროვინციის ოკუპაცია მოახდინეს მეორე მსოფლიო ომის დროს. ახლანდელ შეთანხმებას საფრანგეთთან იმის შესახებ, რომ საფრანგეთის ჯარები დარჩნენ ლიბიის ტერიტორიაზე, ვადა უთავდება 31 დეკემბერს.

კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ლიბიამ უარყო საფრანგეთის წინადადება — მიეცეს ლიბიას ფინანსური დახმარება ლიბიის ტერიტორიაზე საფრანგეთის ჯარების შემდგომი ყოფნის უფლების სანაცვლოდ.

აფხაზეთის სსრ. მეცნიერებათა აკადემიის „ახალი ათონის“ ადმინისტრაციული შენობა.
ფოტო პ. ლუცენკოსი.

სპორტის ამგეგი

კალათბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი პრაღაში

პრაღა, 2 დეკემბერი. (საკდესი). პრაღის დიდ ჯიდოზე კალათბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირის მეოთხე ტურში ვარშავის გუნდმა ანგარიშით 72:68 მოუგო ჩეხოსლოვაკიის კალათბურთელებს, ხოლო სოფიის გუნდმა — ბუდაპეშტის გუნდს 71:56. მოსკოველი კალათბურთელები თამაშობდნენ პარიზის გუნდთან (მუშათა სასპორტო-სატანჯარჯიშო ფედერაცია) და მოუგეს მას ანგარიშით 92:37.

ოთხი ტურის შემდეგ პირველ ადგილზეა სოფიის გუნდი, რომელსაც ოთხი თამაშის შემდეგ აქვს 4 გამარჯვება. სამ-სამი გამარჯვება აქვთ სამი თამაშიდან მოსკოვისა და პრაღის კალათბურთელებს.

სსრ კავშირის პირველობის ნახევარფინალი ჰადრაკში

ბორკი, 2 დეკემბერი. (საკდესი). დღეს აქ დამთავრდა ჰადრაკში სსრ კავშირის პირველობის ნახევარფინალის უკანასკნელი ტური. პირველი ადგილი დაიკავა გროსმაისტერმა ე. გელერმა (ოდესა), რომელმაც მოაგროვა 15 ქულა 20 შესაძლებელში. მეორე და მესამე ადგილები გაიყვეს ლენინგრადელმა საერთაშორისო ოსტატმა ს. ფურმანმა და სპორტის ოსტატმა გ. ბორისენკომ. თვითეულ მათგანს აქვს 14 ქულა. მეოთხე ადგილზე გამოვიდა საერთაშორისო ოსტატი ვ. სიმაგინი (მოსკოვი) — 13 ქულა. ნახევარი ქულით ნაკლები აქვს საერთაშორისო ოსტატს ვ. მიკენასს (ვილნიუსი). ხუთივე მოჭადრაკე მონაწილეობას მიიღებს ფინალში.

თასის მოსაპოვებლად

2 დეკემბერს ქუთაისსა და რუსთავში გაიმართა სსრ კავშირის კონსტიტუციის სახელობის რესპუბლიკური თასის გათამაშების ნახევარფინალური მატჩები ფეხბურთში.

ქუთაისში თამაშობდნენ თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოსა და ქუთაისის „დინამოს“ გუნდები. პირველი ტაიმი დამთავრდა დინამოელთა სასარგებლოდ 2:0. შეჯიბრების მეორე ნახევარში მოწინააღმდეგის კარში დინამოელებმა კიდევ 2 ბურთი გაიტანეს, თავიანთ კარში 1 ბურთი მიიღეს და მოიგეს შეხვედრა ანგარიშით 4 : 1.

მატჩი რუსთავში ადგილობრივი „მეტალურგისა“ და სტალინირის „სპარტაკის“ ფეხბურთელთა კოლექტივებს შორის დამთავრდა რუსთავის „მეტალურგის“ გამარჯვებით ანგარიშით 5 : 3.

ამრიგად, სსრ კავშირის კონსტიტუციის სახელობის თასის გათამაშების ფინალში გავიდნენ ქუთაისის „დინამოსა“ და რუსთავის „მეტალურგის“ ფეხბურთელთა გუნდები.

22 მილიონი მანეთი სამედიცინო დაწესებულებათა მშენებლობას

საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში ყოველწლიურად ფართოვდება მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა ქსელი. შენდება ახალი საავადმყოფოები, ამბულატორიები, სამშობიარო სახლები, სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები.

თბილისში, სხეურთალოზე, მთავრდება ინფექციურ დაავადებათა 300-საწოლიანი საავადმყოფოს, დმანისის რაიონული 57-საწოლიანი საავადმყოფოს მშენებლობა. დმანისის საავადმყოფოს ეენება თერაპიული, ქირურგიული, ინფექციური და სამშობიარო განყოფილებები. წლის ბოლოს საექსპლოატაციოდ გადაეცემა სტალინირის სამშობიარო სახლი. ქუთაისში მიმდინარეობს 200-საწოლიანი საავადმყოფოს მშენებლობა, სადაც საავადმყოფოსთან ამუშავებენ პოლიკლინიკა.

ახალი საავადმყოფოების მშენებლობა მიმდინარეობს კაჯრეთში, თიანეთში, ასპინძაში, თერჯოლაში, ლენტეხში, მარნეულში, გეგეჭკორში, სამტრედიაში, ცხაკაიაში, ხულოში და სხვა რაიონებში. სულ რესპუბლიკაში მიმდინარეობს 22 საავადმყოფოს მშენებლობა.

დიდი მშენებლობა მიმდინარეობს აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიის საზამთრო სანადარეებზე. მყოფი მეცხოველე კოლმეურნეების სამედიცინო მომსახურებისათვის. საავადმყოფოები შენდება სოფელ ჩორნი რინოკში და სოფელ ბოჯიგანში. გზად მიმავალი მწყემსების მომსახურებისათვის უკვე აშენდა ორი საფერშლო-სამედიცინო პუნქტი.

ფართოდ არის გაშლილი რესპუბლიკაში აგრეთვე საკურორტო მშენებლობა.

წელს რესპუბლიკის სამედიცინო დაწესებულებათა მშენებლობისა და კურორტების კეთილმოწყობისათვის დაიხარჯება 22 მილიონ მანეთზე მეტი.

ა მ ი ნ დ ი

თბილისის ამინდის ბიუროს ცნობით 5 და 6 დეკემბერს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცალკებადი მოღრუბლულობა, უმტესად უნალექოდ. აღმოსავლეთის ზომიერი ჰაერი. ტემპერატურა დაწლობ რაიონებში ღამით 0-5 გრადუსი სითბო; 8-13 გრადუსი სითბო; მთიან რაიონებში ღამით 2 გრადუსი ყინვა — 3 გრადუსი სითბო, დღისით 3-8 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში მნიშვნელოვანი მოღრუბლულობა. დროგამოშვებით ნალექი. უმეტესად აღმოსავლეთ რაიონებში. სუსტი ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 3 გრადუსი ყინვა — 2 გრადუსი სითბო, დღისით 3-8 გრადუსი სითბო, მთიან რაიონებში ღამით 3-8 გრადუსი ყინვა, დღისით 0-5 გრადუსი სითბო.

რედაქტორი ნ. ჯაში.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო აცხადებს კონკურსს საუკეთესო საესტრადო ნაწარმოებებზე

კონკურსის პირობები:

1. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველას.
2. კონკურსში გამარჯვებულებს მიეცემათ პრემიები:

სიტეტჩი და ფელეტონი — 2 პირველი პრემია თითო 5.000 მანეთი
3 მეორე პრემია თითო 3.000 მანეთი
5 მესამე პრემია თითო 2.000 მანეთი

მინიატიურა — 1 პირველი პრემია — 3.000 მანეთი
2 მეორე პრემია თითო 2.000 მანეთი
3 მესამე პრემია თითო 1.500 მანეთი.

3. ჟიურის მიერ რეკომენდებული ნაწარმოებები შეძენილი იქნება.
4. საკონკურსო ნაწარმოებთა წარმოდგენის უკანასკნელი ვადაა **1955 წლის 31 იანვარი.** კონკურსის შედეგები გამოცხადდება **1955 წლის 1 მარტს.**
5. ნაწარმოები წარმოდგენილ უნდა იქნას პაკეტში დევიზით. მეორე პაკეტში ნაჩვენები უნდა იყოს ავტორის ვინაობა (გვარი, სახელი, მამის სახელი და მისამართი). ორივე პაკეტს უნდა ეწეროს ერთი და იგივე დევიზი.
6. საკონკურსო ნაწარმოები ავტორმა უნდა წარმოადგინოს პირადად ან ფოსტით (ფოსტით გამოგზავნა შეიძლება 31 იანვრამდე ჩათვლით) შემდეგი მისამართით: ქ. თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 19, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, ხელოვნების საქმეთა მთავარი სამმართველო. (პაკეტს უნდა ეწეროს „საკონკურსო“).

ოპერისა და ბალეტის თეატრი

4 დეკემბერს	ქ. დანკევიჩი — **ბოგდან ხმელნიცკი** სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მუშა-მოსამსახურეებისათვის.
5 დეკემბერს	დღის 12 საათზე რ. გლიერი — **წითელი ყაყაჩო** საღამოს ხ. ფალიაშვილი — **დაისი**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

თბილისის სახელმწიფო ცირკი

ბ ო ბ ო ნ ა თ ა
საცირკო ჯგუფი
„ყურძნის დღესასწაულზე“
სამხატვრო ხელმძღვანელი
ი. დ. ბრესლერი
და
დიდი საცირკო პროგრამა
3 განყოფილებად

კვირას, 5 დეკემბერს, 2 საბავშვო წარმოდგენა — დღის 12 საათზე და 3 საათზე. საღამოს წარმოდგენის დასაწყისი 8 ს. და 30 წ.

ბილეთები იყიდება სახცირკოს სალაროებში. მიიღება შეკვეთები კოლექტიურ დასწრებაზე.

შვილები ტერენტი, თინ